საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 20 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხაზგასმული განცხადება წყვეტილებითა ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. წინასწარ განცხადებები არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, მუხრანსკის [illegible] ქუჩის მე-18-თან.

№ 40 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 40

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუბედურებულნი მშობლები: კოწია და ნინა, გულდამწვარი დები: მარიამ და ლიუბა, ძმა ვიკტორი დუმბაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და კეთილებს, მათი დაუვიწყარი თფილისის საერთო განათლების კურსების მეექვსე კლასის მსმენელ ძვირფას

პეტრე კოწიას ძე დუმბაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას 17 თებერვალს, ღამის 12 ს, თფილისის რკინის გზის საავადმყოფოში. წესაგება მოხდა ს. ზენობანში (გურია) 19 თებერვალს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა სამშაბათს, 24 თებერვალს დღის 2 ს. სოფ. ზენობანის წმინდა გიორგის ეკლესიაზე. (607 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მეტია შვილით, მშობლები: გაიანე და მურზაყან ეგრალიძე, ძმები: ვასო და დიმიტრი, სიძე ესე ქვონია, დები ვასილა, ბუდუ და ბაღრუ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 თებერვალს ახ. სტ. გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

კოლია მურზაყანის ძე ეგრალიძის

სულის მოსახსენებლად ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს (606 1—1)

მე 3 ქვეითა ათასეულის უფროსი ოფიცერთა საზოგადოება მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საქმის მწარმოებლის

მიხეილ ნიკოლოზის ძე პარგარეთელის

გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 16 თებერვალს. (ფ 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ბეჟუა, დედა ნარიო, ძმები: შერმადინ, თომა, ნიკოლოზ, გიორგი და მოსე, რძლები ფედოსი, მარიამ, პოლია, ვერა და ნადია, და მატრონა ურუშაძეები და სიძე გერასიმე სულავა აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ შაბათს 21 თებერვალს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ერასტი ურუშაძის

სულის მოსახსენებლად ქალ. ლანჩხუთში დღის 12 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაში. (610 1—1)

ბითუმათ ვაჭრობა

ბითუმათ ვაჭრობა

ამერიკული კორპორაცია

= საგარეო = ვაჭრობისა

თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი, თფილისის სავაჭრო ბანკის შენობა, ტელეფონი 3—38.

ამერიკული კორპორაცია საგარეო ვაჭრობისა

მიღებული აქვთ ამერიკული საქონელი: კაკაო, შოკოლადი, გამხმარი რძე, დაწმენდილი სოდა, კასტორის ზეთი, კარტონი, დამინანქრული (Эмалированный) ჭურჭელი, სარეცხის საპონი, ფეხსაცმელები და სხვ.

ელოდებიან დიდ პარტიას სხვადასხვა საქონლებისას, ყველა საქონელი როგორც ღირსებით ისე ფასით სდგას კონკურენციის გარეშე.

(603—1—1)

ამერიკული კორპორაცია საგარეო ვაჭრობისა

სამტრედიის მომხმარებელი კოოპერატივი „დახმარების“ გამგეობა იწვევს წევრთა წლიურ

საზოგადო კრებას

22 თებერვალს 1920 წელს და თუ კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდენ გადაიდება 29 თებერვლისათვის დილის 10 საათიდან ქალაქის საკრებულო დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) მოხსენებები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
2) საანგარიშო (1919) წლის ანგარიშის განხილვა, დამტკიცება და მოგების განაწილება.
3) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) წევრთაგან პაის შეტანა და საწევრო გადასახადის გადიდება.
5) მიმდინარე კითხვები.
6) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა. (537—3—2)

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი, № 129)

შაბათს, 21 თებერვალს, გაიმართება დიდი

საღამო-მასკარადი

საუკეთესო ტანისამოსისათვის და ცეკვისათვის მიეცემათ პრიზები.

სტუმრები შედიან კლუბში საზოგადო წესით. (ნ. 1—1)

რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექცია

ამით აცხადებს, რომ 22 ამა თებერვალს დილით, კვირას 12 საათზე თფილისის № 1 საპყრობილეში (ორთაჭალაში) დანიშნულია

საჯარო გაყიდვა

ნაკეთობა ტანსაცმლისა: [illegible], პიჯაკების, [illegible], ქალამნების, ახალუხების, რობების, პალტოების, შარვლების, საბნების, ლეიბების, [illegible], შინელების, ბაშლიყების და სხვა ინვენტარისა. მსურველთ შეუძლიათ დანიშნულ დღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება. (ნ. 1—1)

კვირას, 22 თებერვალს, დილის 10 საათზე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა იწვევს ამავე უნივერსიტეტის

სტუდენტთა საერთო კრებას

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) კავშირის გამგეობის მოქმედების წლიური ანგარიში.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) მიმდინარე საკითხები.
4) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

(611—2—1)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(ნ.—ო.).

ოსმალეთის პანისლამისტების პროგრამა

ამ დღეებში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ოსმალეთის პარლამენტის მილოცვა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა თავის საპასუხო დეპეშაში „მტკიცე რწმენა“ გამოსთქვა, რომ „ოსმალეთსა და საქართველოს შორის დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა, რაც ხელს შეუწყობს ორივე მეზობელ ერის სახელმწიფოთა კულტურულ განვითარებასო“.

პრეზიდიუმის მიერ გამოთქმული სურვილი ოსმალეთთან კეთილმეზობლურ განწყობილების ჩამოგდების შესახებ მთელი ჩვენი ხალხის, მთელი ჩვენი დემოკრატიის სურვილია. მით უმეტეს საჭიროა გავამჟღავნოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ის გარემოებანი, რომლებიც ამ კეთილმეზობლობის დამყარების გზაზე ეღობებიან და აბრკოლებენ.

კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოთა შორის, საზოგადოთ შესაძლებელია მხოლოდ ერთის პირობით: ორთავე მხარემ უნდა უდავოთ მიიღოს ის პრინციპი, რომ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობაში არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს მტაცებლობას და ძალადობას ერთის სახელმწიფოს მხრით მეორის მიმართ. იქ, სადაც მტაცებლობას და ძალადობას ჰქნება ადგილი, კეთილმეზობლობაზე ლაპარაკი მხოლოდ ფარისევლობის და მაკიაველიზმის ნიშანი იქნება.

თანახმა გახდება, თუ არა ოსმალეთი შესდგეს ამ პრინციპიალურ ნიადაგზე? სამწუხაროდ, ის ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ოსმალეთის პოლიტიკას საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მიმართ, უფლებას არ გვაძლევენ მის მშვიდობიანობის მოყვარეობაზე ვილაპარაკოთ. ჩვენ არ ვიცნობთ ოსმალეთის ოფიციალური მთავრობის პოზიციას ამ საკითხებში, მაგრამ ჯერ ერთი, ჩვენ ვიცით, რა ზრახვებს ზრდიან თავის გულში ოსმალეთის მთავრობასთან იდეურათ დაახლოვებული წრეები, რომელთა მოქმედების გამო ოსმალეთის ოფიციალური მთავრობის პრესტიჟი არც ერთხელ არ [illegible] და, მაშასადამე, პასუხისმგებლობას იზიარებს ამ საქმეში. მეორე, ჩვენ ვიცით აზრი იმ პრესისა, რომელიც სტამბოლის მთავრობასთან არის დაახლოვებული.

რა ზრახვები ამოძრავებთ ოსმალეთის იმპერიალისტურ წრეებს და იმპერიალისტურ პრესას ამიერ-კავკასიის და, კერძოთ, საქართველოს მიმართ? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევენ კონსტანტინოპოლის გაზეთები. ოსმალეთის გავლენიან წრეებში ძლიერ გავრცელებულია პანისლამისტური ლტოლვილება. გაერთიანება ყველა იმ ქვეყნებისა, სადაც კი მცხოვრებნი მაჰმადის რჯულს აღიარებენ,—აი თვით პანისლამისტების პროგრამა. ეს პროგრამა—გაერთიანება ქვეყნებისა მცხოვრებთა სარწმუნოების მიხედვით—ძალიან წააგავს საშუალო საუკუნოების ევროპის იდეალს: რომის პაპები იქაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში იბრძოდენ ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანებით დასახლებულ ქვეყნების გასაერთიანებლად ერთ სახელმწიფოში. იქ ეს იდეალი უკვე მეთექვსმეტე საუკუნიდან ისტორიას ჩაბარდა. დღეს ეს დაძველებული და ყოვლად რეაქციონერი, თანამედროვე საზოგადოების დამახინჯებული და ამიტომ მისთვის სრულიად მიუღებელი პოლიტიკური იდეა, ხელახლად ცოცხლდება, მხოლოდ ფორმას იცვლის: პან-ქრისტიანიზმის ალაგას გვევლინება პან-ისლამიზმი. მისი მიზანი—გაერთიანოს ყველა ქვეყნები წყნარი ოკეანის ნაპირებიდან დაწყებული ყაზანით და ჩრდილო რუსეთით გათავებული. და ეს გაერთიანება უნდა მოხდეს, რასაკვირველია, ოსმალეთის და მათ სულთანის დროშას ქვეშ. არავის ეჭვი არ დაეპარება იმაში, რომ ეს არის პირწმინდა იმპერიალიზმი, იმპერიალიზმი, რომელიც თავის მადაგახსნილობით და უზომო პრეტენზიებით, რეაქციონერობით და საშიშროებით ბევრათ უკან სტოვებს ევროპის იმპერიალიზმს.

სრულიად აშკარაა, რა მომავალს უქადის ამიერ-კავკასიას და, კერძოთ, საქართველოს ამნაირი პროგრამის განხორციელება. აზერბეიჯანს, დაღესტანს, მთის რესპუბლიკას და საერთოდ, იმ ნაწილებს, რომლებიც მუსულმანობით არიან დასახლებულნი, ოსმალეთის იმპერიალისტები ისე უყურებენ, როგორც ოსმალეთის ნაწილს. „ჩვენსა და აზერბეიჯანს შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის“, ამბობს კონსტანტინოპოლის გაზეთი „ინერა“. „მონათესავე აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა ჩვენ გვიხარის როგორც ჩვენი საკუთარი დამოუკიდებლობა“, ვკითხულობთ გაზეთ „იქდამ“-ში. „ოტომანი-თურქები მეტადრე იმიტომ არიან მოხარულნი ამ დამოუკიდებლობის ცნობის გამო, რომ მის განმტკიცებაში თვითონაც ღებულობენ მონაწილეობას. ჩვენმა დაღვრილმა სისხლმა თავისი ნაყოფი გამოიღო“.

ოსმალეთის სამფარველის ქვეშ ამ უზარმაზარი მანძილის გაერთიანებას გზაზე ეღობება სომხეთის რესპუბლიკა, რომელიც ოსმალეთსა და აზერბეიჯანს შუა მდებარეობს. და ოსმალეთის იმპერიალისტები, არც აცივათ, არც აცხელათ, მის გზიდან ჩამოცილებას მოითხოვენ. იმავე „იქდამ“-ის „გამოუცნობელ საიდუმლოებათ“ მიაჩნია ის გარემოება, რომ სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იქნა აღიარებული: „ამ ხალხს არ შესწევს ნიჭი სახელმწიფოს შესაქმნელად... იმდენათ არ შესწევს, რომ ისტორიაში მას არასდროს არ შეუქმნია ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრება“. ჩვენ არას ვიტყვით ამ სტრიქონების ავტორის ისტორიულ მომზადებაზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ ოსმალეთის პანისლამისტების ამნაირი ისტორიული შეხედულება გულისხმობს სომხეთის რესპუბლიკის წაშლას პოლიტიკური ქარტიდან. სამხრეთის მხრივ მთელი მანძილი აზერბეიჯანიდან ბაიაზეთამდის აზერბეიჯანს უნდა შეუერთდეს: „მთელი სომხეთი სამართლიანობის მიხედვით აზერბეიჯანს ეკუთვნის“.

რაც შეეხება საქართველოს, ოსმალეთის იმპერიალისტები მას აძლევენ არსებობის უფლებას, მხოლოდ მათ მიერ საკუთრივ განსაზღვრულ ფარგლებში. „აზერბეიჯანის ნაციონალური საზღვარი... თფილისის ბჭეებამდის მიდის“, ვკითხულობთ გაზეთ „იქდამ“-ში.—მაშასადამე, დაასკვნის იგი, „სამართლიანობა მოითხოვს, რომ საქართველოს ნაწილი აზერბეიჯანში შევიდეს“. მარტო ამ ადგილებით არ თავდება პანისლამისტების პრეტენზიები. მათი პროგრამა მოითხოვს, რომ ყველა მაჰმადიანებით დასახლებული ადგილები საქართველოში აზერბეიჯანს შეუერთდეს. რაც შეეხება ქართველ მაჰმადიანებით დასახლებულ ბათუმს და ბათუმის ოლქს, ამაზე ლაპარაკიც კი მეტათ მიაჩნია პანისლამისტების გაზეთს: ეს ადგილები უეჭველ კუთვნილებაა ოსმალეთისა.

საზოგადოთ პანისლამისტების პოლიტიკა ამიერ-კავკასიის მიმართ ამნაირ გამოხატულებას ღებულობს:

„ადრე თუ გვიან აზერბეიჯანმა უნდა შეიერთოს კავკასიის ყველა თურქები, ბაიაზეთი და ართვინი კი უნდა თავის უფროს ძმას შეუერთდეს“.

ვიმეორებთ, ჩვენ ჯერ არ ვიცით ოსმალეთის მმართველების ოფიციალური აზრი ამ საგანზე, ერთი რამ კი უნდა გადაჭრით ითქვას: კეთილ განწყობილებაზე და კეთილმეზობლობაზე ლაპარაკი სრულებით უადგილო იქნება, თუ ოსმალეთის მესვეურნიც იზიარებენ იმ საარაკო მტაცებლურ პროგრამას, რომელსაც ისახავენ ოსმალეთის პანისლამისტები. ეს პროგრამა გულისხმობს ყველა აზერბეიჯანის ოსმალეთთან გაერთიანებას, იგი პირდაპირ აღიარებს სომხეთის მოსპობას და გულისხმობს საქართველოს მოსპობასაც, რადგან საქართველო იმ ფარგლებში შეკვეცილი, რომელსაც ოსმალეთის იმპერიალისტები გვიდებენ, შეუძლებელია.

სოციალური შენიშვნები

4 სინდიკალიზმის უარყოფა.

რაღა თქმა უნდა მთავარი სადავო საკითხია სინდიკალისტური კონცეპცია კაპიტალისტური წესწყობილების მოსპობის და შრომის განთავისუფლებისა. როგორც ვიცით, სინდიკალიზმი უარყოფს იმ გზას, იმ საშუალებას, რომელსაც ადგია თანამედროვე სოციალიზმი და სოციალისტური პარტია. მაშასადამე სინდიკალიზმი ახალი სიტყვით გამოდის იმ საკითხში, რომელსაც უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პროლეტარიატისთვის და კაცობრიობისთვის.

სინდიკალიზმის ახალი სიტყვის არსებითი შინაარსი ის გახლავთ, რომ პროფესიონალური კავშირი, სინდიკატი ერთად-ერთი ყოვლისმხრივ დამაკმაყოფილებელი ორგანიზაციაა მუშათა კლასისთვის, სინდიკალური რევოლიუციური ბრძოლა საკმაოა პროლეტარიატის კლასიურ ლტოლვილების განსახორციელებლად. ამიტომ მისთვის სრულებით საჭირო არ არის პოლიტიკური პარტია და მისი მისწრაფება სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობისადმი. მაშასადამე სრულიად ზედმეტია, ეს ცოტაა, პირდაპირ მავნებელია პროლეტარიატის ჩაბმა პოლიტიკურ ბრძოლაში და საპარლამენტო მოღვაწეობაში. განსაკუთრებით პარლამენტარიზმი წარმოადგენს სინდიკალისტებისთვის რაღაც საშინელ საფრთხეს, რომელსაც მთელი თავის ძალ-ღონით უნდა გაურბოდეს პროლეტარიატი.

მაგრამ ყოველი ტაქტიკის სიავ-კარგე, ყოველი პოლიტიკური მოქმედების დადებითი თუ უარყოფითი მხარე მუშათა კლასმა უნდა დააფასოს იმისდა მიხედვით თუ რამდენათ აძლიერებს იგი მის პოზიციას თანამედროვე საზოგადოებაში და რამდენათ უადვილებს მას ბრძოლას სოციალურ თვითგანთავისუფლებისთვის. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქმეს, მივალთ იმ ბუნებრივ დასკვნამდე, რომ პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა სახელმწიფოებრივ წყობილების დემოკრატიზაციისთვის, საყოველთაო საარჩევნო უფლების და პარლამენტში მონაწილეობის მიღება აუცილებელი, პირდაპირ გარდაუვალი საჭიროებაა მუშათა კლასისთვის, რომელიც ყველგან, სადაც კი გონიერათ ხმარობს ამ პოლიტიკური ბრძოლის ძლიერ იარაღს, წინ მიდის და წარმატებით იკვლევს აღთქმულ ქვეყნისკენ მიმავალ გზას.

დემოკრატიული წყობილება წარმოადგენს იმ ბუნებრივ პირობებს, რომელშიაც თავისუფლათ ირაზმება პროლეტარიატი და იწვრთნება და ვითარდება მისი თვითშეგნება. კლასიური ანტაგონიზმი, რომლის განელების არ ეშინიათ სინდიკალისტებს, დემოკრატიის და პარლამენტარიზმის დროს არა თუ სუსტდება, ფართოვდება და ღრმავდება. უდემოკრატიოთ საზოგადოთ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პროლეტარიატის ფართო გამათავისუფლებელი მოძრაობა. თვით სინდიკალური ბრძოლისთვის და ორგანიზაციების გასაღონიერებლათ და გასამარჯვებლათ არავითარი წყობილება არ არსებობს, გარდა დემოკრატიისა. და როდესაც ზოგიერთი თითქმის სრულებით განარქისტებული სინდიკალისტები უარყოფენ და ებრძვიან დემოკრატიას, ისინი ნებსით თუ უნებლიეთ თავის თავს, თავის, ასე ვთქვათ „პროფესიონალურ“ მოწოდებას ებრძვიან.

დემოკრატია არის პოლიტიკური თავისუფლება, მთელი ხალხის თვითმოქმედება, საყოველთაო არჩევნები ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა. დემოკრატია არის თავისუფლება სიტყვის ბეჭდვის, კრების, კოალიციის, გაფიცვის. და ყველა ეს პირობები აუცილებელია საერთოთ წინსვლელობისთვის და განსაკუთრებით იმ კლასის განთავისუფლებისათვის, რომელიც ყველაზე უფრო დაჩაგრულია თანამედროვე საზოგადოებაში და რომელსაც დაკისრებული აქვს დიდებული ისტორიული დანიშნულება თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კოლექტივისტურ ურთიერთობად. სად არის ეს პირობები, თუ არ დემოკრატიულ წყობილებაში? თუ ეს პირობები ესოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია პროლეტარიატისთვის, როგორ შეუძლია მან არ იბრძოლოს მათ დასამყარებლათ, როგორ შეიძლება ის ჩამოაშორონ დემოკრატიისთვის ბრძოლას? გვეტყვიან ბოლშევიკების მაგალითს. მათ საბრძანებელში, რუსეთში, არავითარი დემოკრატია არ არის (ამით კიდეც ამაყობენ ისინი!), მაშასადამე არც არავითარი თავისუფლებაა. იქ ბოლშევიკების მეტი ყველა დამუნჯებულია. არც კრების თავისუფლებაა, არც კავშირის. არჩევნები ხდება მხოლოდ მათთვის, ვინც წინდაწინ აღნიშნულია სიაში კომუნისტურ პარტიის მიერ. იქ გაბატონებულია არა კულტურა და ევროპიელობა, არამედ ბარბაროსობა და აზიელობა. მართალი სთქვა და ლამაზათ სთქვა მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ დამოუკიდებლობის აღიარების საზეიმო სხდომაზე: ბოლშევიკები ბარბაროსობისკენ გვეწევიან მაგრამ ჩვენ იქით არ წავალთ. პირიქით, ჩვენ უნდა შევეძახოთ საბჭოთა რუსეთს: დაუბრუნდით ევროპას, შეითვისეთ დემოკრატია, გაჰყევით ევროპიელ ხალხებს.

დემოკრატია წიაღია სოციალიზმისათვის. სინდიკალიზმიც, როგორც პრაქტიკული მოძრაობა ძლიერდება მხოლოდ დემოკრატიაში და დემოკრატიით. და რამდენადაც სინდიკალიზმი ანტიდემოკრატობს პრინციპიალურათ, ჩვენ გვაგონდება ცნობილი უკვდავი არაკი უმადურობისა იმის მიმართ, რაზედაც ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულია საკუთარი კეთილდღეობა. უმადურობა კი მუდამ ასე ღაღადებს: „მე არ მინახავს მაგისგან ჩემს დღეში სარგებელი! რას დავსდევ: ნედლი იქნება, თუ გამომშრალი ხმელი?“

სინდიკალიზმი ჯერ არის ყოველთვის იმდენად თამამი და ლოღიკური, რომ ყველა რეფორმების მნიშვნელობა უარყოს და ამნაირათ მოგვევლინოს წმინდა ანარქიულ მოძღვრებად: რამდენადაც უარესია, იმდენად კარგია. პ. ლუი, რომელიც განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა სინდიკალიზმს, ამბობს: „რევოლიუციური ფედერაციები არასოდეს არ ებრძვიან თვით რეფორმებს. სამუშაო დღის რვა საათის მოთხოვნა, ისე როგორც მუშათა დასაქირავებლად კერძო ბიუროების დახურვა, რეფორმის მოთხოვნაა. მეორე მხრით ეგრეთ წოდებულ ფედერაციებს არასოდეს არ უარყვიათ კოლექტივისტური და კომუნისტური იდეები“. (Исторія синдикальнаго движенія во Франціи. 172—3) თუ ეს ასეა—და არსებითათ ეს მართლა ასეა,—მაშინ სულ ულოღიკო და გაუგებარი უნდა იყოს მოძრაობის იდეოლოგია, რომელიც უარ ყოფს სოციალისტური პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობას და მას ყოველმხრივ დახმარებას მუშათათვის სასარგებლო რეფორმების გატარებაში, რაც, როგორც ყველამ იცით, საპარლამენტო საქმიანობის ნიადაგზე ხდება. მაშასადამე მონაწილეობა უნდა მიიღოთ პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში, განზე არ უნდა იდგნენ და აქტიურათ უნდა ჩაერიონ საარჩევნო კამპანიაში, რომ პი

დღეს

ელჩების კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ დარდანელი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ იქნეს.

გერმანია თანახმაა მოკავშირეთა მიერ მოთხოვნილი პირები თვითონ გაასამართლოს სისხლის სამართლის კანონით.

ინგლისის თემთა პალატამ კომისია აირჩია ქონებაზე გადასახადის საკითხის განსახილველად.

ელჩების კონფერენცია დასავლეთ უნგრეთის საკითხის გარჩევის დროს კომისიაში ავსტრიის წარმომადგენლებს მიიწვევს.

ბოლშევიკების ცნობით ქვემო დონზე და მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ველიკოკნიაჟესკის რაიონში მკაცრი ბრძოლაა.

ლიტიკურ პარტიას გამარჯვებინოთ და ამნაირად სასარგებლო რეფორმების განხორციელების საქმე უზრუნველყოთ. ხოლო გულგრილობა იმ ბრძოლისადმი, რომელიც იშლება პოლიტიკურ ნიადაგზე სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასთა და პარტიათა შორის, აქაო და რაკი სინდიკალისტი ვარ, ყოველი პოლიტიკური რწმენის გარეშე უნდა ვიყოო, ეს პირდაპირ მომაკვდინებელი ცოდვაა მუშათა საქმის წინაშე.

ვინც ცოტა ჩახედულია საკითხში, იცის, რომ მუშებს თავის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად ეჭიროვებათ გათვითცნობიერება და ძალთა შეკავშირება, ორგანიზაცია. ეს თხოულობს ხანგრძლივ პროცესს. ბოლშევიკებს ჰგონიათ მხოლოდ, რომ ამ პროცესს გადაახტნენ და უკვე განვითარებულად, მოუმზადებლათ, უორგანიზაციოთ, ცარიელ-ტარიელი, უკულტურო, წვრილად მონათლულ ხიზნების წყალობით ახორციელებენ კომუნიზმს. ბოლშევიზმი de facto კომუნიზმს კი არ ახორციელებს, ანადგურებს ყოველივე იმას, რასაც შეეძლო მომავალში კომუნიზმი განეხორციელებინა. კომუნისტური თვალსაზრისით რომ ბოლშევიზმი ერთი უშველებელი სისხლის [illegible] და [illegible], იქიდან ჩანს, რომ იგი ისლამის რელიგიურ ფანატიკოსებს—ემირებს, ფაშებს, და ბეგებს უმოყვრდება, ხოლო შინაურ და მეზობელ ევროპიულ ქვეყნების სოციალისტებს და დემოკრატებს გაურბის. ბოლშევიზმი [illegible] რუსული ნაციონალიზმია, წითლათ შეღებილი დიდმპყრობელობა და იმპერიალიზმია, რომელიც თავის მიზნების მისაღწევად ყველას და ყველაფერს გამოიყენებს.

პირველ ყოვლისა გათვითცნობიერებისათვის და ძალთა თვითმოქმედებისა და დარაზმისათვის არის საჭირო საარჩევნო მოძრაობაში და საპარლამენტო მუშაობაში მონაწილეობა „მუშათა წოდებისა". ამ მონაწილეობის საპროპაგანდო და საგიტაციო მნიშვნელობა თავის თავად იგულისხმება. საარჩევნო ბრძოლაში ფართოთ საკუთარი დროშის გაშლა და პროგრამულ-პოლიტიკური კითხვების გაშუქება ხალხის მასების წინაშე უდიდესი ფაქტორია უშუა ხალხის პოლიტიკური და სოციალისტური აღზრდისათვის და ამ იარაღზე ის არასოდეს არ აიღებს ხელს, თუ არ მოისურვებს პოლიტიკურ თვითმკვლელობას, და ამ ბრძოლაში ერთი-ერთმანეთის ხვდება კლასთა მოწინააღმდეგე ინტერესები და პროლეტარიატი აქ ცოცხალ მაგალითებით თვალნათლივ იწვრთნება და ამასთანავე რწმუნდება იმაში თუ ვინ არის მისი მტერი, ვინ მოყვარე და საერთოთ რისთვის იბრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ კლასები და მათი პოლიტიკური ორგანიზაციები—პოლიტიკური პარტიები. უკეთეს ასპარეზს თავის იდეალების გასაშლელად შეუძლებელია. ცხადია შეიძლება კიდეც ეს უმნიშვნელოვანესი ასპარეზი ცუდათ გამოიყენო. მაგრამ ამისთვის არის შექმნილი პარტიული აპარატი და თვით მასიური ორგანიზ. მეთვალყურეობა, რომელიც არასოდეს არ გადაექცევა პრინციპიალურ ბრძოლის უარყოფას. პოლიტიკურ [illegible] ამრჩეველთ რომ ჰყავდეს და ათხსილებს.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა პარტიის დეპუტატების მუშაობას პარლამენტებში კანონმდებლობის ნიადაგზე მაგრამ შეცდომა იქნება, თუ სოციალისტური დეპუტატები მარტო აგიტაციური მნიშვნელობის თვალით შეხედავენ თავის საპარლამენტო მოღვაწეობას, მხოლოდ სიტყვიერი ოპოზიციური გამოსვლებით დაკმაყოფილდებიან. ჩვენში სოციალ დემოკრატიული დეპუტატები, როგორც მთავრობის ბატონ-პატრონნი, თვითონ ჰქმნიან კანონებს და პოლიტიკას, გამსჭვალულს დემოკრატიული სულით. ოპოზიცია აქ, რამდენადაც არსებობს იგი, უმთავრესად მათი სახელმწიფოებრივი შემოქმედების წინააღმდეგ ილაშქრებენ. მე სახეში მაქვს უფრო სხვა ქვეყნები, სადაც სოციალისტური წარმომადგენლობა პარლამენტებში უმცირესობას წარმოადგენს და საოპოზიციო ნიადაგზე სდგას.

პარლამენტში მონაწილეობის საკითხი დიდიხანია ადგენს სოციალისტურ აზროვნებას. საპარლამენტო ტაქტიკა, რომელიც შეიმუშავა გერმანიის სოც. დემოკრატიამ, ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატიის [illegible], ყველას კარგათ მოეხსენება. ვილგელმ ლიბკნეხტმა (მამამ, დიდმა ლიბკნეხტმა) გერმანიის სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გამბურგში—1897 წ. პარლამენტარიზმის შესახებ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა. მან სთქვა შემდეგი:

„თავდაპირველად, როცა პარტია ის-ის იყო დაიბადა ჯერ კიდევ ცოტა მიმდევარი ჰყავდა, ჩვენ მივდიოდით რაიხსტაგში იმიტომ, რომ საპარლამენტო ტრიბუნა გამოგვეყენებინა მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ ჩვენი იდეების საპროპაგანდოთ მაგრამ სულ მალე ჩვენ პრაქტიკული მუშაობის გზაზე შევდექით. ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე საზოგადოების მორიგება ერთობ დიდია, რომ მარტო ლამაზი სიტყვების თქმით გამოსარჩევლი და რომ უულამაზესი და უმშვენიერესი სიტყვები ვერ მოსპობენ მას ჩვენ ვნახეთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია რისამე გაკეთება პრაქტიკულ დარგში ყოველთვის, როცა-კი ისმებოდა საკითხი მუშათა კანონმდებლობაზე ან სხვა კანონპროექტებზე, თვითონ მუშები გვარწმუნებდნენ რომ გამოვსულიყავით შესწორებებით და საკუთარი წინადადებით, რათა შეგვეტანა გაუმჯობესება თანამედროვე მდგომარეობაში და არსებულ კანონებში. ვინც მოითხოვს ჩვენგან, რომ სხვანაირათ უნდა მოვიქცეთ, დავტოვოთ პრაქტიკული მუშაობის ნიადაგი და დავკმაყოფილდეთ თეორიული მსჯელობით, მას ჰგონია, რომ ჩვენ უკვე დავბრუნდეთ იმ ხანაში, საიდანაც დიდი ხანია გამოვედით ვისაც არ უნდა, რომ ჩვენი პარტია მაღლა ზეციურ სფეროში იფრინავდეს და თითქოს მივატოვოთ [illegible] საქმეები, ვისაც სურს. პირიქით, რომ ჩვენ პრაქტიკულად ვმუშაობდეთ, იმან უნდა აღიაროს ჩვენი ტაქტიკის სისწორე. ჩვენი პარტია პარიზში არ დაისვენებს, ჩვენ ვიბრძვით დღე მიწაზე და ვიმარჯვებთ იმ იარაღით, რომელიც ხელთა გვაქვს ვიბრძვით არა ფრაზებით, არა ნუგეშისცემით თეორიებით, არამედ პრაქტიკის იარაღით, სინამდვილე და ნამდვილი არგუმენტებით. ასეთია ჩვენი პარტიისთვის უცვლელი ტაქტიკა. და ეს ტაქტიკა განეხორციელდება უფრო რევოლუციური, ვიდრე მაღალი ფრაზების ტაქტიკა".

ეს შეხედულება სწორი და მკვეთრია, როგორც სინდიკალისტების ისე სოციალისტური პარტიის იმ ფრთის მიმართ, რომელიც მხოლოდ ფრაზით (ოცნებობს და ფრაზით) უნდა ძველის დანგრევა და ახლის აშენება.

ნ. ხაჟარეძე.

უკანასკნელი ცნობები

ტფილისი. 19 თებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა პარიზიდან დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: 7 თებერვალს მივიღეთ შემდეგი ბარათი: „საზავო კონფერენციის გენერალურ სეკრეტარს აქვს პატივი აცნობოს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ იაპონიის მთავრობამ ეხლა გადასწყვიტა: ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს იგიც შეუერთდება საქართველოს მთავრობის „დე ფაქტო" აღიარებაში". (ს. დ ს.)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 თებერვალი

ინგლისური პრესის ცნობები.

(დასავლეთი არ მიგვიღია)... გერმანიის მილიტარიზმმა ბოლო მოუღო სწავლას: ძალა-უფლება ერისა. მოკავშირეთა ჯარებმა შესძლეს ეს. იმ ერთა ხელშეკრულებამ, რომელიც ინგლისის სახელში შეიკრა, პრაქტიკულათ სრულებით მოსპო ფარული ხელშეკრულებანი. მრავალი ფიქრობს, რომ მოსპობა შეუძლებელია, მაგრამ აქ ისეთივე პრინციპი უნდა ვიხელმძღვანელოთ, როგორც კერძო დავაში. თუ ორ ერს შორის გაუგებრობა ხდება, ერთა ლიგა ამ საქმეს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს. ის სახელმწიფო, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, თავის წინააღმდეგ ამხედრებს ერთა ლიგას.

თემთა პალატამ ამოირჩია კომისია ქონებაზე გადასახადის დაწესების საკითხის განსახილველად. ყოველგვარი ქონებაზე გადასახადის დაწესების წინააღმდეგ წავიდა ხაზინის ლორდ-კანცლერი. მან განაცხადა: ფინანსიური მდგომარეობა უმჯობესდება; მრეწველობის განვითარება ქვეყანას ყოველგვარ გასაჭირიდან გამოიყვანს და მოსპობს ის მომხრეა დაიბეგროს ომით შეძენილი ქონება იმ შემთხვევაში, თუ კი ამისთვის სამართლიან და მოხერხებულ გზას გამოძებნიან. ის პირები, რომელნიც ომის განმავლობაში მოულოდნელად გამდიდრდენ, უნდა მოწვეულ იქნენ ქვეყნის ხარჯის დასაფარავად.

ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეებმა მხედველობაში მიიღეს გერმანიის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზათ არის დაუყოვნებლივ შეუდგეს ლეიპციგის საიმპერიო სასამართლოში სისხლის სამართლის წესების თანახმად, ყველა იმ სამხედრო და სამოქალაქო პირთა გასამართლებას, რომელთაც მოკავშირენი მოითხოვენ. მოკავშირენი არ ჩაერევიან დამნაშავეთა გასამართლებაში და სასამართლოს განაჩენზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა დაეკისრება თვით გერმანიის მთავრობას.

კაიოს საქმე სამშაბათს დაიწყო. მოკლე დაკითხვის შემდეგ დაიწყეს საბრალდებულო ოქმის კითხვა.

ლონდონის კონფერენციის სხდომაზე პრინციპებში შეთანხმება მოხდა სულთანის სტამბოლში დატოვების შესახებ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება, როდესაც ოსმალეთის სხვა პრობლემები გამოირკვევა. კონფერენციამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ დარდანელი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ იყოს: მოკლე დროში დაინიშნება საჭირო პირადი შემადგენლობა, რომელიც სრუტეებს დაიჭერს და გამოირკვევა ის ქვეყნები, რომლებმაც აქ ჯარი უნდა მოიყვანონ. დაინიშნა სამი კომისია. პირველი გამოარკვევს სომხეთის და ქილიკიის საზღვრებს, მეორე ოსმალეთის ვალისა და ფინანსების საქმეს და მათ დამოკიდებულებას ევროპის ინტერესებისადმი. მესამე მოისმენს სმირნაზე საბერძნეთის მოთხოვნილებას. ვენიზელოსი მართლაც არ ღებულობდა ოსმალეთის სხდომაზე მონაწილეობას. განხილულ იყო საკითხი ოსმალეთის საზღვრების შესახებ. ნაშუადღევის სხდომაზე კონფერენციამ გადაწყვიტა ბოსფორზე საერთაშორისო კონტროლი დაწესდეს და მიიღო კიდეც ზომები ამის ცხოვრებაში გასატარებლად.

სამშაბათს ელჩების კონფერენციამ, ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით შეიწყნარა ავსტრიის დელეგატების აზრი, რომ მათი წარმომადგენლებიც იყვნენ მოკავშირეთა კომისიაში, რომელიც დასავლეთ უნგრეთის საკითხს სწყვეტს. შემდეგ კონფერენციამ მოიწონა ორი ნოტა ცენტრალური ევროპაში ვაგონების მოძრაობის კომიტეტისა და რეინის პროვინციების უმაღლეს კომიტეტის შესახებ.

პარიზის ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა კანადაში რეალიზაცია გაუკეთოს 20 მილიონ დოლარს, რომლითაც [illegible] საქონელს იყიდიან.

ამერიკული ცნობები.

(ლიონის რადიო ბორდოდან).

როგორც [illegible], სევასტოპოლი დიდ საფრთხეშია და იქ [illegible] ოდესის უბედურება, მდგომარეობა სამხრეთ არა ბოლშევიკურ რუსეთისა იმდენათ გამოურკვეველია, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებს ეშინიათ წითლების სრული გამარჯვებისა, არა გარედან შემოსვლით, არამედ შიგ მომხდარ მოძრაობით. მოხალისეთა ძალების ეხლანდელ სარდალს გენერალ შილინგს, რომელიც ყირიმის ყელზე იმყოფება და ვისაც შემორჩენილი აქვს გაყინული მაგარი ყინულით, ეშინია ამ მხარეებიდან წითელი ჯარის შესვლისა. სევასტოპოლის ნავთსადგური უნაყოფოთ არის გაჭედილი გემებით. მოხდა 10,000 კაცის რეგისტრაცია, რომელთაც გასვლა სურთ. 11,000 კაცი ოდესიდან გამოსულ გემებზე იმყოფება უსურსათოთ და უჭმელნი. ლტოლვილთა შორის ძლიერ გავრცელებულია სახადი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 18 თებ. სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა მესამე ყრილობა გადადებულია აპრილის ბოლოსათვის. პრესის მიმოხილვა: „პრავდა"-ში ბუხარინი სწერს იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მ. გორკის სიტყვამ: „ჩვენს გარშემო მოთხოვნილობა და შიმშილია,—სწერს იგი. გორკი კი მხიარულობს ისე, როგორც არასოდეს. დადგა დღესასწაული. გორკიმ იგრძნო და შეიგნო მან, რომ მართლაც ახალი ეპოქის დასაწყისია.

მან შეიგნო შრომას, რომელიც მოსპობს მთხოვნელობას, შიმშილს და [illegible] დაამყარებს. გატაცებით და აღფრთოვანებით ლაპარაკობს გორკი შრომის ამინდებზე. გორკის სიტყვით, პეტროგრადში გარდაიქმნა ისე, არა თუ მარტო პროლეტარიატში, არამედ თვით ინტელიგენციაში. რუსეთის მეცნიერების ძველმა გვარდიამ საუკეთესო მეცნიერებმა, ინჟინერებმა, ქიმიკოსებმა შეიგნეს, რომ საბჭოთა რუსეთის სული და შეუძლია არა თუ დაანგრიოს ძველი, არამედ—შექმნას ახალიც და შექმნას სერიოზულათ. იწყება ინტელიგენციის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა. რამ შექმნა ეს ცვლილება? კითხულობს ბუხარინი და უპასუხებს: პროლეტარიატის შეკავშირებულმა ძალამ ფრონტზე, ბლოკადის მოხსნამ, შრომისადმი იმ გატაცებამ, რომელიც პროლეტარიატის პარტიამ გააძლიერა. სწორედ ამიტომ აწყნარებს გორკი და გრძნობით ამბობს ერთ სიტყვას: „დიდებულია".

შრომის ფრონტზე. მოსკოვში შესდგა სამი კომისია, შიგ შედის ერთი წარმომადგენელი მოსკოვის საბჭოთა მთავრობისა, ერთი პროფ. კავშ. საბჭოებისაგან და ერთიც ქალ. თვით სამეურნ. საბჭოსაგან. კომისიის უმთავრეს მიზანს შეადგენს გაძლიერება შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის. კომისიამ მოსკოვის მუშებისადმი გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომისია მთელი თავისი არსებით ხელს შეუწყობს საქონლის როგორც მოტანას, აგრეთვე განაწილებასაც. იგი მოაწყობს ახალ ორგანიზაციებს მუშების სურსათით უზრუნველსაყოფათ, მოსპობს ქარხნებში, ფაბრიკებში და დაწესებულებებში ყოველგვარ უწესრიგობებსა და უწესობებს. შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად კომისია გადაჭრით შეებრძოლება შრომის ენერგიის დაცემისა და დეზორგანიზაციის ყოველგვარ გამოხატულებას". მოწოდება შემდეგი სიტყვით თავდება: „ამხანაგებო, დროა ზურგს უკან მყოფნიც გავინძრეთ და თავიდან ავიცილოთ ჩვენი უმთავრესი მტერი უსაქმობა".

ნოვგოროდი. 16 თებ. ნოვგოროდის მოსამსახურეებმა და მუშებმა უკანასკნელი „ვოსკრესნიკი"-ს დროს 20 ვაგონი შეშა გადმოტვირთეს. სადგ. „მარტინოს" რკინის გზელებმა დატვირთეს 11 ვაგონი შეშა. **ყაზანი.** 17 თებერ. გლეხთა მე 8 ყრილობამ დაადგინა შრომის მეტარი ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად ცხოვრებაში გატარება. მოსკოვის საბჭოს არჩევნები. მეორე და მესამე დღის არჩევნებში კომუნისტები გავიდნენ. კრასნაია პრესნამ თავის დეპუტატათ ლენინი აირჩია. **მოსკოვი.** სამხედრო ცნობა. 17 თებ. ჩვენმა ჯარმა სელეცკოე აიღო. ჩრდილოეთ დვინის ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. არხანგელსკის მიმართულებით 411 ვერსზე მუდიუგ ბაქანი ავიღეთ. ბრძოლა გრძელდება. სებეჟის რაიონში მტერი ჩვენი წინა ნაწილების დამარცხებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

დვინსკის და პოლოცკის რაიონში მტერი დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე ადგილას გადმოვიდა დრისსა და პოლოცკის შუა, მაგრამ ჩვენი კონტრ-იერიშებით უკუ ვაგდეთ. ქალ. პოლოცკს მტერმა ყუმბარები დაუშინა. ლეპელის მიმართულებით სოფ. ვოლოკიჩზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მოზირის და ჟიტომირის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. დნესტრზე ბალტის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით რიბნიცა და ვოროშკოვო აიღო. ამ ადგილებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პერეკოპის და სივაშის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. მტრის აეროპლანებმა ტაგანროგში ყუმბ. ჩამოაგდო. ქვემო დონზე და მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ველიკო კნიაჟეს რაიონში მკაცრი ბრძოლაა. სტავროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ირკუტსკის რაიონში წითელი პარტიზანები სდევნიან პეტლურა რაზმებს, რომლებიც მცხოვრებლებს სძარცვავენ. სადგ. ზიმაზე კოლჩაკის დარჩენილ პოლკს პოლკის უფროსის მეთაურობით გარს შემოერტყნენ. საბჭოთა რუსეთში მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მუშებმა დაიწყეს ორთქმავლების და ვაგონების კეთება. შეკეთებული ვაგონებით თვით მიდიან პურისათვის. გზათა სახალხო კომისარიატმა უკანასკნელ კვირაში 105 ორთქმავალი და 4000 ვაგონი გამოუშვა. რკინის გზელთა პროფ. კავშირმა მიმართა ყველა წევრებს მოწოდებით, რომ საჭიროა გმირული ძალა რკინის გზის აღსადგენათ. კავშირი მოუწოდებს ამხანაგებს დაზგებისაკენ, ორთქმავლებისაკენ, ვაგონებისაკენ და მოითხოვს ძალდატანებასაც, თუ ეს აუცილებელი შეიქმნება.

სმოლენსკი. 16 თებ. აღმოსავლეთ გალიციის მცხოვრებნი სიხარულისაგან [illegible] შეხვედრით სოფლელ, სადაც ერთი ცოცხალი არსებაც კი არ იქნება. მიუხედავათ ამისა, პოლონელთა მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს.

ბერლინი 17 თებ. ცნობილ სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონის შვილი სწერს „ტაიმსში", რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. მისი აზრით ეს გამოიწვია ახალშენებისა და ოსმალეთის საკითხმა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 8 ს. შესდგება საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **იტალიის სამოქალაქო მისიის** წევრი სენატორი კონტი 18 თებერვალს სადარბაზოთ ეწვია დამფუძნებელი კრების უფროსს ამხანაგს ალ. ლომთათიძეს, რომელმაც საპასუხო დარბაზობა გადაუხადა სენატორ კონტს იმავე დღეს.

◆ **იტალიის მისიის** სატექნიკო კომისია გზათა დეპარტამენტის დირექტორთან ერთად გუშინ ხაშურში გაემგზავრა დვირის და სურამის უღელტეხილის დასათვალიერებლად.

◆ **კახეთის რკინის გზაზე** გუშინ მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

◆ **გზათა დეპარტამენტის** განცხადებით 15 თებერვალს დანიშნული იყო ტყიბულის ქვა-ნახშირის გაყიდვისათვის შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 3 კაცმა, მაგრამ მათი პირობები მიუღებელი შეიქნა გზათა დეპარტამენტისათვის. ამიტომ გზათა დეპარტამენტს განზრახული აქვს ან ხელახლად დანიშნოს შეჯიბრება ან ეს შედეგები მთავრობას მოახსენოს.

◆ **შიმშილობა ვარიანში.** ტფილისის გარეუბნის სათემო ერობის გამგეობამ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს და ერობათა კავშირს, რათა დახმარება აღმოუჩინონ გარე უბნის სოფლებს სურსათის შეძენაში, ვინაიდან სოფლები შიმშილს განიცდიან. მინისტრის ამხანაგი დაპირდა მათ, რომ იშუამდგომლებს ამის შესახებ მომმარაგების სამინისტროს წინაშე.

◆ **ქალაქთა კავშირმა** შეიმუშავა რესპუბლიკის საქალაქო მილიციის შტატების პროექტი, რომელიც წარედგინა შინ. საქმეთა სამინისტროს.

◆ **ახალი ქარხანა.** ამ დღეებში ტფილისში მუშაობას დაიწყებს ქალაქთა კავშირის ავეჯეულობის ახალი ქარხანა.

◆ **სანერგეების გადაცემა.** დამფუძნებელი კრების აგრარულმა კომისიამ დაადასტურა მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი ქუთაისის და ტფილისის მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტების გაუქმების შესახებ, იმ დამატებით, რომ ხსენებულ კომიტეტების შტატები კრედიტები და ინვენტარი და აგრეთვე ალავერდის კონდოლის და ჩუმლაყის ამირეჯიბულ სანერგეები გადაეცეს მევენახეობის რაიონში მომქმედ სამაზრო ერობებს.

◆ **მიწათმოქმედების სამინისტროს** სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგე დ. გედევანიშვილი თანამდებობიდან გადადგა; მის ადგილზე დაინიშნა ბ-ნი ჩხაიძე.

◆ **დუშეთიდან შემდეგი დეპეშა** მივიღეთ: გვარდიის შტაბის უფროსის [illegible] მუშიაშვილის თაოსნობით გვარდიელებმა დაიჭირეს ყაჩაღი დარჩო ჩილოშვილი ანანურზე და ახალგორზე თავდასხმის ერთი მონაწილეთაგანი. ტანზე ეცვა გაძარცული ანანურის ფოსტის უფროსის ტანისამოსი. ერობის თავმჯდომარე ქინიშვილი.

◆ **ყოფილ განსაკ. რაზმა ლეჩხუმის რაზმში მყოფთა** საყურადღებოთ. კვირას, 22 თებერვალს დღის 12 ს. დანიშნულია კრება ნაძალადევის თეატრში ამ რაზმის ანგარიშების ლიკვიდაციის მოსასმენად. ამისათვის სთხოვენ ყველა იმ პირთ, რომლებიც 1918 წელში ამ რაზმში იმყოფებოდნენ და დღეს თფილისში არიან, აუცილებლათ გამოცხადდნენ.

ყოფ.-შტ.-წევრები: თ. სარდიონ ქელიძე და დ. კარესელიძე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, 20 თებერვალს, წაიკითხავენ ლექციებს: 2 განყოფილებაში (ვერაზე) 1) ს. დოლიძე—საქართველოს ისტორია 2) ექ. ცეცხლაძე—საზოგადო ჯანმრთელობაზე; 8 განყოფილებაში (ავლაბარში) 1) დ. ასათიანი საფრანგეთის რევოლუცია; 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **სახალხო სახლთან** არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენის მმართველი წრე საჭიროებს გამოცდილ მოკარნახეს. პირობების გაგება შეიძლება სახალხო მმართველი წრის კანტორაში (პლეხანოვის ქუჩა № 102, ყოველ საღამოს 6 საათ—8—დის).

საღამო. სახელმწიფო კულტურ-ტექნიკური სასწავლებელი პარასკევს 20 თებერვალს მართავს საღამოს. დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათ.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს მ. ა. იანსას ბენეფისი—„პიკის ქალი"; შაბათს, 21 თებერვალს, დილით—„დემონი"; საღამოთი—ოპერა მუშებისათვის—„ქეთო და კოტე".

◆ **მანუფაქტურა.** ამ დღეებში ქალაქთა კავშირმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 15 მილიონ მანეთის მანუფაქტურა, მანუფაქტურა ამ დღეებში გაეგზავნება საქართველოს სხვადასხვა ქალაქების [illegible].

◆ **ელექტრონის სადგური დუშეთში.** ქალაქთა კავშირი და დუშეთის ქალაქის თვითმმართველობა დუშეთში აწყობენ წისქვილსა და ელექტრონის სადგურს.

◆ **მუნიციპალური ბანკისათვის.** ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა რესპუბლიკის ყველა ქალაქებს დაუგზავნა საანკეტო ფურცლები, რათა გამორკვეულ იქნას მათი ქონება, რომელიც საჭიროა მომავალ მუნიციპალური ბანკის გახსნისათვის.

◆ **ყრილობა.** ორშაბათს, 23 თებერვალს, შესდგება გარე უბნის სათემო ხმოსანთა მეოთხე არა ჩვეულებრივი ყრილობა.

◆ **ბავშთა და დედათა დაცვის** საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: კაფე-რესტორან „მერეტლისაგან" 1350 მან., გაიდამაკოვისაგან 1000 მან. ა. ს. ასაგან 1000 მან. მილოსრსკასაგან — 5000 მან. „ინტერნაციონალში" მოსამსახურე ქალთა ჯგუფისაგან—600 მან. სახალხო გვარდიის შტაბის ლაზარეთის პერსონალისაგან უფროსი ექიმის მიშველიძის გარდაცვალებული ქალის ხსოვნის აღსანიშნავათ 1650 მ. გაბრიელ კურდღელიშვილისაგან—45000, ცხომელიძისაგან—1000 მ. კარლინსკისაგან და ინჟ. ენგლერისაგან—10000 მ.

— მიიღეთ ველისციხის ამხანაგებში შეგროვილი მნაცაკან ისაკოვისაგან 560 მან. რაჭველ ჩიხლაძის ობლებისათვის.

კ რ ე ბ ე ბ ი

კვირას, 22 თებერვალს, დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა იწვევს ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებას.

უცხოეთი

ო ს მ ა ლ ე თ ი.

თურქული პრესა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ცნობის შესახებ. გაზ. „ენი გიუნი" აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის შესახებ სწერს: „ჩვენ სიხარულით ვეგებებით საზავო კონფერენციის მიერ აზერბეიჯანის მოძმე ხალხის დამოუკიდებლობის აღიარებას. დღემდე ბევრი ევროპიელი აზერბეიჯანელებს „თათრებათ" იხსენიებს; ისინი კი წარმოშობით ნამდვილათ თურქები არიან. ჩვენ უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობთ, როდესაც შემთხვევა გვაქვს აღვნიშნოთ აზერბეიჯანის საკმაო ეკონომიური სიძლიერე და აგრეთვე ის კულტურული როლი, რომელიც მას ხვდა წილათ".

გაზ. „ინიარა" სწერს: „ჩრდილო-დასავლეთით ორი მეზობელი სახელმწიფოა, რომლებთანაც ჩვენ ბევრი ძაფები გვაკავშირებს. ეს სახელმწიფოებია—აზერბეიჯანი და გურჯისტანი (საქართველო). კერძოთ ჩვენსა და აზერბეიჯანს შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის. ჩვენ გვაკავშირებს ხანგრძლივი მეზობლობა, სარწმუნოება, სისხლით ნათესაობა, ენა, გადმოცემები და სხ. აზერბეიჯანი ჩვენთვის იგივეა, რაც ბელგია-საფრანგეთისათვის, ახალი ავსტრია-გერმანიისათვის და სამხრეთი ამერიკა ისპანიისათვის".

გაზ. „ალემდარ"-ი სწერს: „ჩვენთვის მეტად საგულისხმოა ცოტათი ის ფაქტი ამტკიცებს, რომ საზავო კონფერენცია ქმნის ახალ სახელმწიფოებს, რომლებთანაც ორივე ჩვენ დაკავშირებული ვართ, როგორც ეკონომიურის, ისე სულიერი ძაფებით. ჩვენ სიხარულით ვიმედოვნებთ, რომ ისინი, ვინც აზერბეიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს, არ გამოიტანენ სასიკვდილო განაჩენს ჩვენი ქვეყნისათვისაც".

გაზ. „იკდამ" თავისებურათ მსჯელობს: „აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა ჩვენ ისევე გვახარებს, როგორც ჩვენი საკუთარი დამოუკიდებლობა. განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აღიარება ოსმალეთის თურქებს ახარებს, ვინაიდან ისინი თვითონ იღებდნენ მონაწილეობას ამ დამოუკიდებლობის შექმნაში. როგორც სჩანს, დაღვრილი სისხლი უნაყოფოთ არ ჩაუვლია, მაგრამ აზერბეიჯანის ნაციონალური საზღვრები ერთი მხრით ტფილისის კარებამდე აღწევს, ხოლო მეორე მხრით—ოსმალეთის ბაიაზეთის ოლქამდე. საქართველოს ნაწილი და მთელი სომხეთი სამართლიანობის მიხედვით აზერბეიჯანს ეკუთვნის. ჩვენთვის დღემდე გამოურკვეველია, რა აზრი ჰქონდა ხალილ-ბეის დელეგაციის მიერ სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას ერევანში. ებრაელების მსგავსად, სომხები დიდ კომერციულ ნიჭს იჩენენ ქალაქებში და, როგორც ერთმა ფრანგმა სთქვა: სომხები ერთ-ნახევარ ებრაელს უდრის. მაგრამ ამ ხალხს არა აქვს უნარი საკუთარი

ელმწიფო შექმნას, სადაც არ ენ- იყოს ეს; ეს ხალხი იმ ზომამდე ულებულია სახელმწიფოებრივ ენერ-, მ ისტორიაში მას არასოდეს არ ქნია ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამიტომ, ადრე თუ გვიან, ადერბეიჯანმა უნდა გაიერთიანოს ლა ოსმალები კავკასიაში, ბაიაზეთში ართვინით უნდა შეუერთდეს თავის ოს ძმას.

მუსტაფა ქემალ-ფაშა და ოსმალეთის პარლამენტი. ანატოლიისა და რუმელიის ნაციონალურ მოძრაობის ხელმძღვანელმა მუსტაფა-ქემალ-ფაშამ დეპეშა გაუგზავნა სულთანს და ოსმალეთის პარლამენტს, რომელშიაც იგი იმედს გამოსთქვამს, რომ იგინი დაივიწყებენ ყოველგვარ პარტიულს და პირადულს და იმუშავებენ ოსმალეთის ხალხის საკეთილდღეოთ.

რუსეთი.

ყოფილი გენერლები ბოლშევიკების სამსახურში. უცხოეთის გაზეთებში მოყვანილია სია იმ გენერლებისა, რომლებიც ამ ჟამად ბოლშევიკების სამსახურში ითვლებიან: 1) გენ. ჩერემისინოვი, ადლემის პროფესორი, ყოფილი მთავარ-სარდალი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისა; 1) გენ. კლემბოვსკი, ყოფილი ფრონტის უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა (გენ. ბრუსილოვთან) 3) გენ. ენინი, ცნობილი სამხედრო მწერალი, დივიზიის უფროსი; 4) გენ. რალდუსკევიჩი, ყოფილი უფროსი მე 6 არმიის შტაბის უფროსი; 5) გენ. ზოიონ-, ყოფილი უფროსი მე-6 ქვ. დივიზიისა; 6) გენ ილევიჩოვი, ყოფილი უფროსი მე-5 ქვეითი ფინლიანდიის დივიზიისა; 7) გენ. ნადეჟნი, ყოფილი უფროსი ერთ-ერთ დივიზიისა; 8) გენ. ტინი, ყოფილი მორიგე გენერალი ფრონტზე; 9) გენ. ეგორიევი, ყოფილი უფროსი განსაკუთრებულ ჯარისა; 10) გენ. ბონჩ-ბრუევიჩი; 11) გენ ნესიროვი; 12) გენერალი ველიჩკო, ცნობილი სამხედრო ინჟინერი; 13) გენ. მელიაევი, ცნობილი თეორეტიკოსი—არტილერისტი; 14) გენ. გაბარილოვსკი; 15) გენ. პოტაპოვი; 16) გენ. ნაზნანოვი, აკადემიკოსი; 17) გენ. ვერტი, ყოფილი სარდალი დასავლეთის ფრონტისა; 18) გენ. გუტორი, ყოფილი უფროსი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისა.

საბჭოთა რუსეთი და საგარეო ვაჭრობა გაზ. „პტი პარიზ." იტყობინება: ნიდან მოსულ ცნობების თანახმად საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა, რათა რუსეთის საგარეო ვაჭრობას სათავეში რუსეთის კოოპერატივები ჩაუდგნენ. მოკავშირეებმა რუსეთთან ვაჭრობის დროს საქმე უნდა დაიჭირონ ახალ ორგანიზაციებთან, რომლებიც საბჭოთა მთავრობის ახალი დეკრეტით არიდება. ასეთ პირობებში, გაზეთის აზრით, ძნელად ვაჭრობის აღდგენა ლენინ-ტროცკის მთავრობასთან მით უმეტეს, რომ უმაღლესმა საბჭომ ფორმალურათ უარი სთქვა რუსეთის მთავრობასთან კავშირის დაჭერაზე.

სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენისათვის. გაზ. „ტან" ის 27 იანვრის ნომერში მოთავსებულია ნოტა, რომლითაც უმაღლეს საბჭომ მიმართა რუსეთის კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის წარმომადგენლებს პარიზში. ამ ნოტით მოკავშირეთა სახელმწიფოების მთავრობები აცნობებენ კავშირს, რომ ისინი თანახმანი არიან სავაჭრო დამოკიდებულებანი დაიკავშირონ რუსეთთან და წინადადებას აძლევენ კავშირს სათავეში ჩადგეს ამ ვაჭრობას. მოკავშირეებს სურთ ვაჭრობის წარმოება მხოლოდ კოოპერატივების საშუალებით; კოოპერატივებმა უნდა მოაწყონ ზედმეტი პურისა და ნედლი მასალის გატანა რუსეთიდან საზღვარ გარეთ და რუსეთისთვის საჭირო საქონლის შემოტანა. მათვე უნდა იკისრონ აგრეთვე ყოველგვარი პასუხისმგებლობა სავაჭრო ოპერაციებისათვის.

გერმანია.

საერთაშორისო შრომის ბიურო. გაზ. „ფორვერტს" იტყობინება: საერთაშორისო შრომის ბიუროს სხდომებზე მონაწილეობას იღებდა 12 სახელმწიფო; თვითეულმა ორ-ორი ოფიციალური წარმომადგენელი გამოგზავნეს: ერთი მთავრობისა და ერთიც მუშათა ორგანიზაციების. მონაწილეობას იღებდნენ: გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, შვეიცარია, ისპანია, არგენტინა, კანადა, პოლონეთი და დანია. გერმანიის წარმომადგენლები იყვნენ: ლეიმანი და ლეგინი.

ადერბეიჯანი

გლეხთა ყრილობა. ახლო მომავალში განზრახულია ბაქოში მოწვეულ იქნეს გლეხთა ყრილობა, რომელმაც გლეხთა კავშირი უნდა მოაწყოს. წარმომადგენლობითი ნორმა შემდეგი იქნება: ხუთი წარმომადგენელი თვითეულ სოფლიდან. („ადერბეიჯანი").

აგრარული რეფორმის გამო. ადერბეიჯანის პარლამენტში განსახილველათ შეტანილია კანონპროექტი აგრარულ რეფორმის შესახებ, რომელიც გამოშუშავებულია „მუსავატის" და უპარტიოების მიერ. კანონპროექტის მთავარი პრინციპები შემდეგია: 1) უფასოთ ჩამორთმევა კერძო მესაკუთრეთა მიწებისა მშრომელ გლეხობის სასარგებლოთ; 2) მიწათმფლობელობის შემცირება 75 დესეტინამდე; 3) დასატოვებელ ნორმის დაწესება 25-დან 75 დესეტინამდე. კანონპროექტი გადაცემულია აგრარულ კომისიაში, რომელშიაც შედის, სხვათა შორის, ერთი მომხსენებელი „მუსავატის" ფრაქციიდანაც.

სატრანზიტო გადასახადი, ადერბეიჯანის მთავრობამ დაადგინა დააწესოს 5 პროცენტიანი გადასახადი იმ ნოხებზე, რომლებიც ტრანზიტით გააქვთ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე. ამ დადგენილებას დროებითი ხასიათი, აქვთ და ძალაში რჩება მანამდე, სანამ ტრანზიტის საკითხი საბოლოოთ არ მოწესრიგდება.

ცნობის უარყოფა. ბაქოს გაზ. „ტელეგრაფში" (№ 34, 14 თებ.) და აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც გადმობეჭდილი იყო ცნობა კონსტანტინოპოლის სომხურ გაზეთ „ჩაკატამარტიდან" იმის შესახებ, თითქოს ადერბეიჯანსა და ოსმალეთის შორის მომხდარიყოს შეთანხმება. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ ოსმალეთ-ადერბეიჯანს შორის არავითარი, არც ფარული, არც აშკარა მოლაპარაკებას ადგილი არ ჰქონია და რომ აღნიშნული ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება.

მუსულმან მუშების დადგენილება. 12 თებერვალს მოხდა კრება შავი ქალაქის მუსულმან მუშებისა, რომელსაც 800-მდე კაცი დაესწრო. განხილულ იქნა საკითხი ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების გამოსვლის შესახებ. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ჩვენ, შავი ქალაქის რაიონის მუსულმანი მუშები ვაცხადებთ ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოთ, რომ ადერბეიჯანის მუშები მომხრენი არიან თავის საყვარელ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მზათ არიან თავიანთი მკერდით დაიცვან იგი ყოველგვარ საფრთხისაგან, როგორც დღემდე იცავდა მას. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რათა მან დაიცვას ადერბეიჯანის დემოკრატია ყოველგვარ გამცემლთა პროვოკაციისაგან. („ად.).

ქუთაისი

ქუთაისში და მის ახლო რაიონებში დიდი თოვლი მოვიდა. რაჭა და ლეჩხუმი უგზოობის გამო მოწყვეტილია. სხვა ადგილებთანაც ძლიერ სუსტი მიმოსვლაა არის, რის გამო ბაზარზე სანოვაგის ფასმა მოიმატა.

— 13 თებერვალს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას სხდომა ჰქონდა ადმინისტრაციის რეორგანიზაციის შესახებ. სხდომაზე მოწვეული იყო ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე და სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე. გამოირკვა, რომ სარაიონო კომისარიატები მაზრაში ვერ აწარმოებენ [illegible] მუშაობას, შენახვა კი მათი დიდძალი ფულები ჯდება. ამიტომ დადგენილ იქნა სამაზრო ადმინისტრაცია დაკავშირებულ იქნას პირდაპირ სათემო ადმინისტრაციასთან. სარაიონო კომისარიატები კი უნდა გაუქმებულ იქნას.

— ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის სასანიტარო-საეპიდემიო განყოფილების ცნობით ამა წლის პირველ იანვრიდან პირველ თებერვლამდე ქალაქში შავი სახადით ავათ გამხდარა 75 კაცი. უკანასკნელ დღეებში, თოვლის შემდეგ შავი სახადი გაძლიერდა.

— ქალაქის საბჭომ გამგეობის მოხსენების თანახმად უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში აქიმობის ფასად დააწესოს 120 მან., დანარჩენ განყოფილებებში 80 მ. ცალკე ოთახში კი—250 მან.

— ქუთაისის სამრეწველო სამეურნეო და საურთიერთო ბანკმა შეიძინა 10 000 ფუთი შაბიამანი (ინგლისური). ბანკი შაბიამანს ახლო მომავალში გაუნაწილებს მეურნე-მევენახეებს.

— ქუთაისის გვარდიის შტაბმა გადაწყვიტა შეუთანხმდეს ადგილობრივ მუშათა კლუბებს—„ინტერნაციონალს" და „ხელოვნებას" და მოაწყოს გვარდიელთათვის კულტურული მუშაობა.

— ყაჩაღი ირაკ. ნიკოლაძე, რომელიც ამას წინად ქუთაისის ციხიდან გაიქცა, მაზრის მილიციამ დაატუსაღა სოფ. ნავენახევში 12 თებერვალს.

— ქუთაისის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ უკანასკნელ თავის სხდომაზე დაადგინა ეთხოვოს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას: 1) ნუ შეუწყვეტს სოფ. მასწავლებლებს იმ ოთხასი მანეთის მიცემას, რომელსაც ისინი ღებულობენ ყოველ თვიურად ერობიდან დამატების სახით; 2) დაინიშნოს სკოლების გამგეებს ზედმეტი შრომისთვის განსაკუთრებული ჯამაგირი; 3) მიაწოდოს სოფლის ღარიბ მასწავლებლებს ადგილობრივი ფონდის სიმინდი ფასად.

ქართველ ტყვეთა კავშირის მოქმედების ანგარიში

ეგერში (ავსტრია) არსებობდა ქართველ ტყვეთა კავშირი.

კავშირმა მოწოდებით მიმართა როგორც ლაგერში მყოფთ, აგრეთვე სამშობლოში წასულ ქართველებს და თუმცა ზოგიერთი ამბობდა ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ ვინც გულ შემატკივარი იყო არ დაიშურა ორიოდე გროში მოძმეს დასახმარებლათ გაეღო. სულ მოგროვილ იქნა 443 კრონი. შარშანწინ ოკტომბერში, როდესაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით ლაგერში ტრანსპორტები სდგებოდა სამშობლოში ტყვეების წამოსაყვანათ, სწორეთ მაშინ ტყვეებში გაჩნდა „ისპანკა", რითაც 150 კაცი გახდა ავათ; მაშინ ავსტრიაში როგორც სურსათის, ისე მედიკამენტების დიდი ნაკლებობა იყო და რადგან ავათმყოფებს შესაფერი არც საჭმელი, არც მოვლა ჰქონდა და წამალი თითქმის სრულიად არ იყო, ამიტომ ვთხოვეთ გოსპიტალის ექიმს დაერთო ნება კავშირის ფულით კერძო აფთიაქიდან წამლები შეგვეძინა. წინად ამის ნებართვას ტყვეს ლაგერში არ აძლევდა, მაგრამ რაკი ავათმყოფები თანდათან უარესათ ხდებოდნენ, ამიტომ დაგვიწერა რეცეპტი და გამოვიტანეთ კერძო აფთიაქიდან 197 კრონის წამალი, რამაც ექიმის და თვით ავათმყოფების სიტყვით საშუალება მოგვცა რამდენიმე ავათმყოფი სიკვდილისაგან დაგვეხსნა. 226 კრონი თამბაქოს ფულათ გაეშვა და 38 ცალერი ვლ. ახკურავას მიერ შემოწირული დაურიგდა იმ უკაპეიკო ქართველ ტყვეებს, რომლებიც შიმშილით თავის ულუფა პურს ჰყიდდენ, რომ თამბაქო ეყიდნათ. 20 კრონის ვიყიდეთ ძმათა სასაფლაოს სურათები და როგორც უკვე „ერთობაში" გამოცხადებული იყო, ეგერში მიცვალებულთა ჭირისუფლებს შეუძლიათ სურათის უფასოთ მიღება. როდესაც ავსტრიაში რევოლიუციის ალი ავარდა და ლაგერი კარგათ მყოფ ტყვეებისაგან სამ დღეში დაცარიელდა, ავათმყოფები გადაყვანილ იქნენ ქალაქის გოსპიტალში და 25 დღე თავზე ვადექით, რომლებიც გაჯანსაღებისას გაგზავნილ იქნენ ქ. პრაგაში—სამშობლოში დასაბრუნებლათ, ვინაიდან რა ასეთ ჯოჯოხეთურ არევ-დარევის ხანაში ბევრი ეგერში მყოფი ტყვეები თავიანთ ჭირისუფლებს საძებრათ დაურჩებოდა, ამიტომ ვინც ეგერის ლაგერში ითვლებოდა, წამოვიღეთ იმათი (1200 კაცის) სია დაწვრილებით და თუ ვინმე შეგვეკითხება (ქ. ლანჩხუთი, ვლ. ახკურავას) და მოგვწერს ეგერიდან ტყვე რა ნომერს იწერებოდა, ვუპასუხებთ: 1919 წლამდი, ესა თუ ის პირი სად და როგორ იმყოფებოდა.

ამასთანავე არ დაგვივიწყებია მიცვალებულნი, რომლებსაც ჩვენი თხოვნით და სოც. დემოკრ. ორგანიზაციის „ფორვერტსის" დახმარებით ეგერის ქალაქის თვითმმართველობამ ჩვენს იქ ყოფნაში გაიღო ხარჯები ძმათა სასაფლაოს მოვლა-გასამშვენიერებლათ, და სასაფლაოებზე ჯვრების დასადგმელათ.

ტყვეობიდან დაბრუნებულნი ის. მახარაძე და ვლ. ახკურავა.

ფოსტა-ტელეგრაფში

თფილისის სარაიონო არჩევნები.

ექვსი თვეა ფედერალისტებმა „სახალხოს" ფურცლებზე ყურები გამოუჭედეს საზოგადოებას, რომ ფოსტა-ტელეგრაფის დემოკრატია ფედერალისტებს მისდევს, გამარჯვების ნაჩვევი მენშევიკები ვერ ურიგდებიან თავიანთ დამარცხებას და უსაფუძვლოთ გვედავებიანო. მაგრამ მათ მოკლე ჟამში გამოიჩინეს თავი. დემოკრატიამ ღირსეულათ დააჯილდოვა ეს ვაჟბატონები.

არ გასჭრა არავითარმა მათმა ახალმა ხრიკებმა და პროვოკაციებმა: არ უშველა მათ არც ჭორიკანობამ და ექვსი თვის „ჯილდოთ" ფოსტა-ტელეგრაფის დემოკრატიისაგან მიიღეს უნდობლობა. თფილისი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, სამტრედია და სხვები ხომ ერთხმათ უარყოფენ ფედერალისტებისაგან შემდგარ ცენტრალურ გამგეობას „სულთა-თანას"; მაგრამ ამ ვაჟბატონებმა დიდი ხანია, რაც დაჰკარგეს სირცხვილის გრძნობა და კრილოვის „მზარეულის და კატის" არ იყოს, ყურს უგდებენ და „მიირთმევენ"...

ახლაც სარაიონო გამგეობის არჩევნების საგაფიცოთ არ დაიშურებენ მთელი თავიანთი ენერგია და შეეცდებიან გამარჯვება აიღონ, ენით გამოუთქმელ პროვოკაციის საშუალებით. ეს იყო უკანასკნელი ცდა მათი საქმეების გამოსასწორებლათ, მაგრამ ფრჩილი უნდობლობა—აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ..

სარაიონო არჩევნები დაიწყო 10-ს, დამთავრდა 15 თებერვალს. ყუთებიდან სულ წითელ-წითელი პირველი ნომრებმა ამოყვეს თავი მათ საყვარელი მეორე ნომრების მაგიერ. ამ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა № 1 გამოვიდნენ, ფედერალისტები № 2, 797 ხმაში ფოსტის დემოკრატიამ 472 ერთი პირველ ნომერს არგუნა, 250—მეორე ნომერს და 75 მესამე ნომერს (უპარტიოთა სია).

ამ რიგათ, სარაიონო გამგეობაში შევიდნენ: 7 სოც.-დემოკრ., 3 ფედერალისტი და ერთი უპარტიო (თუმცა ბოროტი ენები მას სულ სხვა პარტიას აკუთვნებენ).

ამ „მილიანების ჯგუფის სახელს" ამოფარებული ფედერალისტების უტიფრობა იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის სიაში პირველ რიგში ზ. ბერძენიშვილი წამოასკუპა. ეს ის ყრილობიდან გაძევებული ბერძენიშვილი გახლავთ, რომელიც ბელაიბერგში და ზ.—კავკაზში უფროსათ ყოფნის დროს ლინდენიუსელიერებს მოხელეებზე პოლიტიკურ „დანოსებს" უგზავნიდა და რომელსაც ჯერ არ უმართლებია თავი ამხანაგების წინაშე.

მიუხედავათ იმისა, რომ ფ. ტ. დემოკრატიის ორმა მესამედმა ზურგი აქცია წლობით დაკარგულ ცენტრ. გამგეობას, ეს ვაჟბატონები მაინც ებღაუჭებიან ც. გ.. სავარძლებს.

კმარა...

უნდობლობა ცენტრალურ გამგეობას.

ხაშური. 9 თებერვალს შესდგა ხაშურის და სურამის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრება. დღის წესრიგში იყო ცენტრალური გამგეობის ნდობა თუ უნდობლობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა გ. იქროპირიძე, მდივნათ ი. ებანოიძე. პლატონ ჭაბატაძის მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქმნა მიღებული,—გამოეცხადოს უნდობლობა ცენტრალურ გამგეობას.

მ. ანჯაფარიძე.

პროფესიონალურ კავშირებში

კოოპერატივი „ალორძინება".

პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ბიუროს სეკრეტარიატს თავის 8 იანვრის სხდომაზე ჰქონდა მსჯელობა კოოპერატივ „ალორძინების" შესახებ, რომელიც უნდა შეიქნეს ცენტრი მომავალ მუშათა კოოპერატივების. სეკრეტარიატმა დაავალა თავის პრეზიდიუმს მოლაპარაკება გამართოს „ალორძინებასთან".

12 თებერვალს შესდგა სეკრეტარიატის სხდომა; დადგენილ იქნა პრინციპიალურად „ალორძინების" ირგვლივ მუშათა კოოპერატივების მოწყობა. ამის შესახებ სეკრეტარიატმა წერილობითი განცხადება გაუგზავნა „ალორძინებას" შემდეგი შინაარსის:

გთხოვთ გვაცნობოთ—1) ფინანსიური მდგომარეობა ალორძინების, 2) რა საშუალებით უნდა გაიწმინდოს კოოპერატივი არა მუშებისაგან, 3) როგორ აქვს წარმოდგენილი გამგეობას ახალი ორგანიზაციის მოწყობა.

თავის მხრით სეკრეტარიატს მიზანშეწონილათ მიაჩნია—მოხდეს ლიკვიდაცია კოოპერატივისა, და იგი ახალ საფუძველზე აშენდეს, უნდა აირჩეს აგრეთვე ახალი გამგეობა. სეკრეტარიატს საჭიროდ მიაჩნია წესდების შეცვლა.

დამფუძნებელი კრება

17 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. სხდომას ესწრება იტალიის სამოქალაქო მისია სენატორ კონტის მეთაურობით.

თავმჯდომარე. ნება მიბოძეთ, ბატონებო, მივესალმო სტუმრებს, იტალიის ეკონომიური დელეგაციას ([illegible] ლოჟაში) და სურვილი გამოვსთქვა, რომ მათი მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყოს და საქართველოს და იტალიის ხალხს შორის, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დამყარებულიყოს. (ტაში, ოვაციები).

შემდეგ პირველ რიგში განხილულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების დამატების შესახებ.

მომხსენებელი **ილ. ფირცხალაიშვილი** აღნიშნავს, რომ როცა პარლამენტმა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება მიიღო, მაშინ სოხუმის ოლქი არ იყო დაყოფილი მაზრებათ, ამ ჟამად კი ეს ოლქი დაყოფილია 4 მაზრად. ცენტრ. საარჩევნო კომისიამ საჭიროდ დაინახა თითეულ მაზრაში სამაზრო საარჩევნო კომისიის დაარსება. ჩვენ ვითხოვთ აგრეთვე, რომ სოხუმის ოლქში არჩევნების ვადა გაგრძელებულ იქნას კიდევ 6 თვით; თუმცა არჩევნები მარტში მოხდება, მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთ კუთხეში ეს არ მოხერხდეს და ამიტომ საქმისათვის და ხალხისათვის უკეთესია ეს ვადა გაგრძელებულ იქნას. დეკრეტი ერთხმათ იქნა მიღებული.

გრძელდება კამათი მიწათ მოქმედების სამინისტროს შტატების შესახებ.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს, რომ არც ერთი ნაწილი აგრარული რეფორმისა არ არის გატარებული ცხოვრებაში. ეს მაშინ, როცა სამინისტროს არ ქონია დაბრკოლება არც პოლიტიკური განწყობილების მხრივ, არც ფინანსიური, არც ადმინისტრატიული, მაგრამ სოც. დემოკრატია ყოველთვის ეფარება ობიექტიურ პირობებს და ამით უნდა ახსნას თავისი უილაჯობა, უმოქმედობა. ანარქიამ შეგვიშალა ხელიო, მე ვაცხადებ, რომ ანარქია არ ყოფილა, და თუ იყო, ის გამოიწვია სოც.-დემოკრატების აგრარულმა კანონმა. ომი იყოო, სთქვეს აქ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ომს, როგორც ვიცით, აწარმოებდა სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო და არა მიწათ-მოქმედების სამინისტრო. როგორც მოგახსენეთ, აქ ობიექტიური პირობები იმდენათ დამნაშავე არ არის, რამდენადაც სოც. დემოკრატიის და მისი სამინისტროს უილაჯობა, უუნარობა.

ნ. ხომერიკი (მიწათ-მოქმ. მინისტრი) მე გამოვედი იმიტომ, რომ ზოგიერთი ფაქტიური ცნობები მოგაწოდოთ. ბ. შენგელაიამ დაგვიხატა წარსულ სხდომაზე და დღესაც ისეთი სურათი, რომელსაც სინამდვილესთან არავითარი საერთო არა აქვს. საქმის მდგომარეობა სულ სხვანაირი არის, ვინემ ეს აქ წარმოადგინეს. რასაკვირველია, არის ნაკლი, მაგრამ ის კი, რასაც ფიქრობდა და ვარაუდობდა უწყება, საუცხოოთ გამართლდა და მოლოდინსაც გადააჭარბა. აი ციფრები:

საიჯარო განყოფილებაში ნავარაუდევი იყო საბიუჯეტო წლის ბოლომდე (1 იენისიდან იწყება) 24,888,713 მან. შემოვიდა 1920 წლის 1 იანვრამდე 14,108,338 მან, იანვრიდან 1 იენისამდე მოსალოდნელია კიდევ 21,884,002 მან., საიჯარო განყოფილებაში 7 თვის განმავლობაში დაიხარჯა 683,386 მან. წმინდა მოგება რჩება 13,484,952 მან. სატყეო განყოფილებაში ნავარაუდევი იყო წლის ბოლომდე (იგულისხმება 1-ლი იენისიდან 1919 წ. 1 იენისამდე 1920 წ.) 7,037,450 მან., შემოვიდა 1 იანვრამდე 1920 წ. 7,380,375 მან., დაიხარჯა—7 312 317 მან. წმინდა შემოსავალი—68,058 მან. ბ. შენგელაიამ აქ გამოიტანა რიცხვი 24 მილიონი და სთქვა, რომ ამდენი გასავალი ჰქონია სამინისტროს ტყეებზე, ხოლო შემოსავალი სამჯერ ნაკლებიო. მან ვერ გაიგო, თუ რას შეიცავდა ეს რიცხვი: უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ განზრახული გვქონდა სამეურნეო წესით შეშის დამზადება და სხვა. ამის ხარჯთ აღრიცხვა შეადგენდა ჩვიდმეტ მილიონ მანეთს. სულ კი სატყეო განყოფილების ხარჯთ აღრიცხვა აღწევდა 24 მილ. მანეთამდე. მაგრამ რადგანაც ჩვენ ვერ მოვაწყვეთ ეს შეშის დამზადება, ცხადია, არც 17 მილიონი მანეთი დაგვიხარჯავს. ბ. დეპ. შენგელაიას რომ რაიმე გაეგებოდეს ამ საქმის, ან მას რომ სიმართლე და საქმე აინტერესებდეს, უნდა ეთქვა 24 მილ. მან. და უნდა გამოერიცხა აქედან 17 მილ. მაშინ მის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ სიტყვას ადგილი არ ექნებოდა. (შემდეგ მინისტრი განაგრძობს ციფრების მოყვანას ოპოზიცია, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ ღელავს, ხმაურობაა. სოც. დემოკრატები სკამებიდან იძახიან: „ჩაჯდა შენგელაია და სხვა").

შინა მრეწველობის განყოფილებამ წმინდა მოგება მოგვცა 543,617 მან., სახელმწიფო მამულების და სარდაფებისაგან ნავარაუდევი იყო 16,435,739 მან., შემოვიდა 1 იანვრამდე 46 მილიონი მან., დაიხარჯა 17,246,000 მან., წმინდა მოგება დარჩა 28,754,000 მან., ბორჯომის მამულიდან ნავარაუდევი იყო 16,759,378 მან., შემოვიდა 7 თვეში 16,545,000 მან. დაიხარჯა—10,500,000 მან., წმინდა მოგება დარჩა 6,045,000 მან. ყარაიაზის მამულიდან შემოვიდა 5 მილიონი მან., დაიხარჯა 700,000 მან., დარჩა წმინდათ 4,300,000 მან. სულ წმინდა შემოსავალი ამ 7 თვისა არის 53,195,627 მან. აი ასეთია საქმის მდგომარეობა. მე კიდევ ვიმეორებ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, უწყება ფიქრობს უკეთ მოაწყოს მეურნეობის საქმე, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მდგომარეობა ისეთი არ არის, როგორც ეს ლ. შენგელაიამ დახატა. მართალია, მიწათ-მოქმედების სამინისტრო ომს არ აწარმოებს, მაგრამ ბ. შენგელაიამ უნდა იცოდეს, რომ რომელ კუთხეშიც არ უნდა სწარმოებდეს ომი, სულ ერთია,—ეს გავლენას ახდენს სასოფლო და სახელმწიფო მეურნეობაზე, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, ამის არ ცოდნა დანაშაულია დეპუტატისათვის. თუ ყველგან არ არის ჯერ კიდევ დასრულებული მიწის ჩამორთმევა, ეს ობიექტიური პირობების ბრალია. ანარქიამ ხელი შეგვიშალა მუშაობაში და გარდა ამისა, როგორც წინათ მოგახსენეთ, ჩვენ საშუალება გვქონდა 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 11 თვე გვემუშავა, რადგანაც მინდორში მუშაობა ავდარში არ შეიძლება.

რაც შეეხება ტყეებს, უნდა მოგახსენოთ, რომ შემოსავალი ტყეებიდან თანდათან იზრდებოდა. აქ მინისტრს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ნათლათ ამტკიცებენ, თუ როგორ იზრდებოდა ტყის შემოსავალი თვიდან [illegible] კიდევ მეტი არ არის [illegible] სა, ამბობს მინისტრი, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ გლეხებს შეშას ვაძლევდით თითქმის უფასოთ. სამშენებლო ხე-ტყის მასალას 9 ჯერ უფრო ნაკლებათ ვაძლევდით, ვინემ ამას ბაზარზე ჰყიდდით. ყოველ შემთხვევაში, დაასკვნის მინისტრი, არ შეუძლია შემოსავლის სიცოტავეზე ილაპარაკოს იმ ფრაქციას, რომელიც ყოველთვის გადასახადების წინააღმდეგ მიდის და ყველას პირდება მიწას, ტყეს და ყველაფერს უფასოდ. აი ასეთია საქმის მდგომარეობა.

გრ. გიორგაძე (ს. დ.) ფარდას ხდის სოც. რევოლიუციონერების ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას დღიდან რევოლიუციის დაწყებისა და აღნიშნავს, რომ გასაგებია, როცა ესერები ამბობენ, რომ არავითარი ანარქია არ ყოფილა, სოც. დემოკრატია ობიექტიურ პირობებს ეფარებაო და სხვ. რასაკვირველია, იმ პარტიისათვის, რომელიც თავისი პროკლამაციებით, პროპაგანდით ხელს უწყობდა ანარქიას, როცა ის ლაპარაკობს, რომ თქმა იმისი, არავითარი ანარქია არ ყოფილა. ან რას აბრალებთ ობიექტიურ პირობებს, როცა ის ხელს არ გიშლიდათო. როგორც სჩანს, მთელმა ისტორიულმა პროცესმა სოც.-რევოლიუციონერთა გვერდით ისე ჩაიარა, რომ თითქოს მათ არც კი შეუმჩნევიათ ეს. ორატორი იგონებს იმ დროს, როცა თფილისის მიდამოებს მტერი განადგურებით ემუქრებოდა, როცა ბათუმის დაცვა იყო საჭირო და ესერები სამხედრო მეგზარის მოხდის წინააღმდეგ მოუწოდებდნენ ხალხს და სხვ. (ესერები და სოც.-ფედერალისტები ხმაურობენ: ორატორი განაგრძობს) მახსოვს, ქუთაისში ესერებმა ჩაიბარეს ერთი ლეგიონუზი, სადაც 2000 თოფი და პატრონები იყო და რამდენიმე კვირის შემდეგ იქ არც ერთი თოფი და არც ერთი პატრონი არ აღმოჩნდა. აი ასე იცავდით თქვენ რევოლიუციას და ხალხის ინტერესებს. შემდეგ ორატორი მოიგონებს ესერების იაზუიტურ ოსმალების მიერ აღების, თფილისიდან ეშელონების გამგზავრებას, მოიგონებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც შექმნა ბათუმის დაცემამ და ოსმალეთის საშიშროებამ, მოიგონებს შიგნით ანარქიულ გამოსვლებს და ეკითხება: განა ჩვენმა სწორმა პოლიტიკამ არ იხსნა ხალხი ფიზიკური და ყოველგვარი განადგურებისაგან? განა ჩვენ არ ჩავაქრეთ ანარქია და ავიცდინეთ ოსმალეთის საფრთხე? განა ჩვენ არ მივიყვანეთ ჩვენი ხალხი იმ მდგომარეობამდე, როცა მისი სუვერენობა ევროპის სახელმწიფოების მიერ აღიარებულია და მას შეუძლია ნორმალურად კულტურული განვითარების გზას დაადგეს? ყველა ამის შემდეგ რა უფლების ძალით ლაპარაკობთ თქვენ სოც.-დემოკრატიის უილაჯობაზე, უუნარობაზე? რა უფლებით და სინიდისით ლაპარაკობთ თქვენ, რომ ჩვენში არც ანარქია ყოფილა და არც არაფერი, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის ხელი შეეშალათ? ყველა ამის თქმა შეუძლია მხოლოდ უპასუხისმგებლო ფრაქციას, რომელიც ლაპარაკობს ლაპარაკისათვის და არა საქმისათვის. მე ამაყად ვაცხადებ, რომ ჩვენ შევძელით იმის გაკეთება, რის გაკეთება შეიძლებოდა არსებულ ობიექტიურ პირობებში. გადავარჩინეთ ხალხი ფიზიკურ განადგურებას, მოუპოვეთ მას დამოუკიდებლობა და ასეთ დროს გამოდიხართ თქვენ, იღებთ კერძო შემთხვევებს და დემაგოგიის საშუალებით იწუნებთ ჩვენს პოლიტიკას. ჩვენ თვითონ ვიცით, რომ ჩვენი მუშაობა არ იყო უნაკლო, ამას ჩვენ არ ვფარავთ, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ ოპოზიციის კეთილსინდისიერ და საღ კრიტიკას, მაგრამ ისეთ კრიტიკას კი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ მორალურ ღირებულებას, ჩვენ ვერ მივიღებთ და შესაფერისად შევებრძოლებით. ის გამოსვლები, რომელიც აქ შენგელაიამ ჩაიდინა, ნაკარნახევი იყო უფრო პარტიული ქიშპობით და არა სახელმწიფოებრივი ინტერესით. რაც შეეხება შ. ნუცუბიძის წინადადებას კონტროლიორის მოხსენებამდე საკითხის გადადებას, ეს მიუღებელია, ვინაიდან კონტროლიორის აზრი ჩვენ უკვე ვიცით კერძოთ ამ სამინისტროს შესახებ, ამიტომ ეს დეკრეტი მიღებულ უნდა იქნას იმ სახით, როგორც არის წარმოდგენილი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წინადადება შემოსული კამათის შესაწყვეტათ.

ლ. შენგელაია მოითხოვს კამათის გაგრძელებას.

გ. თევზაძე წინააღმდეგია კამათის გაგრძელების. ორატორები, ამბობს ის, იმეორებენ დებულებებს და არაფერს ახალს არ ამბობენ. აი ლ. შენგელაიამ დღეს სხვა სიტყვებით გაიმეორა ის, რაც წინა სხდომაზე სთქვა.

ხმის დიდი უმრავლესობით კამათი შეწყდა.

მომხსენებლის ი. ხაჭაპურიძის დასაბუთებული სიტყვის შემდეგ [illegible]

მუხლობრივ განხილულ და მიღებულ იქნა.

დეკრეტი ტყიბულის მაღაროების სააქციო საზოგადოების „ნახშირახ" კონცერნის გამოყიდვისა და ტყიბულის მაღაროების ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებისა.

გ. თევზაძე (მომხსენებელი) აღნიშნავს, რომ უწყების გადაწყვეტილი აქვს ტყიბულის მაღაროების სააქციონერო საზოგადოების „ნახშირახ" გამოყიდვა. ჩვენ უნდა შევიძინოთ მთელი ქონება ინვენტარით და უნდა დავიწყოთ საკუთარი წარმოება. გამოსაყიდლად საჭიროა 12 მილიონი მან., ხოლო საექსპლოატაციოთ—33 მილიონი მან. ეს ხარჯთ აღრიცხვა შედგენილია 1 ნოემბრიდან 1919 წლისა 1920 წლის 1 ივნისამდე.

თ. ნუცუბიძე (ს. რ.) დეკრეტის მეორე ნაწილს ჩვენ ვიზიარებთ, მხოლოდ წინააღმდეგი ვართ სააქციონერო საზოგადოებისაგან ქონების გამოსყიდვისა. ეს ქონება ჩამორთმეული უნდა იქნას სრულიად უსასყიდლოთ; ამას მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს ფინანსიური ინტერესი, ისე სოციალისტური პრინციპი.

გზათა დეპარტამენტის უფროსი ქიქინაძე განმარტებას იძლევა, რომ მთავრობა ყიდულობს არა ნიადაგს, მიწას, არამედ—იმ ინვენტარს, შენობებს და სხვას, რომელიც საზოგადოება „ნახშირახ" კანონიერ კუთვნილებას შეადგენს.

გ. თევზაძე (მომხსენებელი) აცხადებს, რომ სოციალისტები პრინციპიალურათ არასოდეს არ გამოსულან კაპიტალისტებისაგან ქონების გამოსყიდვის წინააღმდეგ. ორატორს მოყავს ფაქტები ევროპის სოციალისტების პოლიტიკიდან, რომელიც მომხსენებლის შეხედულებას ამართლებს. აი მაგ. საფრანგეთში, ამბობს მომხსენებელი, 1913 წ. პარლამენტში შეტანილიყო კანონპროექტი კერძო რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ, იქ ამას ხმა მისცეს საფრანგეთის სოციალისტებმა. მე მგონია, რომ საფრანგეთის სოციალისტები უფრო მემარცხენე პარტია, ვინემ ჩვენებური პატარა წვრილ ბურჟუაზიული სოც. რევოლუციონერთა პარტია. ევროპაში ასეთი ფაქტები მრავალია მუნიციპალიტეტის, თუ სახელმწიფო ცხოვრებაში. მე მიკვირს ის, რომ ჩერნოვის მოწაფეები ასე აბუჩათ იგდებენ თავის მასწავლებელს. ჩერნოვი კი 1919 წ. მაისში სწერდა, რომ რუსეთი დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა მოეწყოს და ვისაც კერძო საკუთრება ჩამოერთმევა, პენსია უნდა დაენიშნოსო. აი რას სწერდა, ბ. ესერებო, თქვენი მასწავლებელი. ბ. ნუცუბიძე ამბობდა, რომ აქ ორი მიმართულება იბრძვისო—ერთი სოც. დემოკრატიული—ხოლო მეორე სოციალისტურიო. მე კი ვამბობ, რომ აქ იბრძვის ორი დებულება: ერთი საქმიანობის, ცოდნის, მეორე უსაქმურობის, უცოდინარობის. ბ. ნუცუბიძეს არ ესმის ის, რომ აქციებს ერთი საოცარი თვისება აქვთ. ისინი შეუმჩნევლათ გადადიან საზღვარ-გარეთ და მაშინ, როგორ ფიქრობს ბ. ნუცუბიძე, აიცდენს თუ არა თავიდან გამოყიდვას? ჩვენ ამას წინეთ მივიღეთ საერთაშორისო ვალდებულებანი და ეს კი გვავალებს უცხოელთა ინტერესების და ქონების დაცვას, ნუცუბიძემ კი ეს არ იცის და ამას ანგარიშს არ უწევს, ეს კი დაუშვებელია.

ბ. ნუცუბიძის არც ფინანსიური მოსაზრებაა მართალი. საქმე იმაში კი არ არის საიდან მიდის თუ არა ფული, არამედ—საქმე იმაშია, თუ რაში იხარჯება ეს ფულები. ჩვენ, მართალია, 12 მილიონ მანეთს ვიღებთ ხაზინიდან, მაგრამ, სამაგიეროთ ვიძენთ უფრო მეტით ღირებულ ეკვივალენტს და საკუთარ წარმოების წყაროს, ეს კი სახელმწიფოს ფინანსების გაჯანსაღების მეტს არაფერს არ ნიშნავს. ყველა ამ მოსაზრების გამო მე ვთხოვ რომ დეკრეტი მიღებულ იქნას.

დეკრეტი მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა.

დასასრულ დამფუძნებელი კრება ადგენს პრეზიდიუმის შემდეგ წინადადებებს: 1) ის ფული, რომელიც დაგროვდა და მომავალშიაც შეგროვდება დეპუტატების დაჯარიმებით, გადაეცემა გარდაცვალებულ დეპუტატის ოჯახს.

2) სხდომა შემდეგში იწყებოდეს სრულ 12 ს.

3) არჩეულ უნდა იქნეს მომარაგების კომისია.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 1 თებერვალს შესდგა მესამე რაიონის პირველი ქვე-კოლექტივის წევრთა საერთო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება რაიონული კოლექტივიდან, 2) წესდების მიღება და რეგლამენტი, 3) პარტიულ მუშაობაზე, 4) კულტურულ განმანათლებელ სექციიდან მოხსენება, 5) კომისიის მოხსენება.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ხუხუნაიშვილი და სხვათა შორის ატყობს კრებას, რომ მოკლე ხანში რაიონულ კოლექტივს განზრახული აქვს მოიწვიოს ამხ. გეგეჭკორი, რომელიც ვრცელ მოხსენებას გააკეთებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მეორე მოხსენებით კრებამ მიიღო პარტიული მუშაობის (ქვე კოლექტივისთვის) წესდება და რეგლამენტი. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა კრება „მუშათა სამკითხველოს" გახსნას და აღუთქვა გამგეობას ყოველგვარი დახმარება.

მეოთხე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამ. ი. ბ—ძე, რომელიც დაწვრილებით უხსნის კრებას, თუ რამდენი წევრი მისცა ქვე კოლექტივმა—სახალხო უნივერსიტეტს, აგრეთვე ჟურნალ „მუშათა ცხოვრების"-ს გავრცელების შესახებ.

ბოლოს მოსმენილი იქნა კომისიის მოხსენება თფილისის სასურსათო საწყობის ანდრია რამიშვილის მიერ სამსახურიდან გამოგდებულ ორი მუშის ფირცხალაიშვილის და კასიძეს შესახებ. გამოირკვა, რომ მუშები არაფერში ბრალდებულნი არ არიან და მხოლოდ იმისთვის, რომ მათ მიერ არ იქნა საქმის ფორმალური მხარეები შესრულებული, გამგე ან. რამიშვილმა დაითხოვა სამსახურიდან. კრება ადგენს წინადადება მისცეს კომისიას დაწვრილებით გამოარკვიოს საკითხი და წარმოადგინოს მომავალ კრებას ვრცელი მოხსენება.

მდივანი ი. ბოცვაძე.

დიდი ჯიხაიში. 15 თებერვალს შესდგა ადგილობრივ სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრება. დაესწრო 150 მდე წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ამ. ლეჟავა, მდივნათ გ. ბიბილეიშვილი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება მიმდინარე მომენტზე, პარტიის წევრის მოვალეობა, პარტიული სასამართლოს განაჩენის დამტკიცება და სასოფლო და სარაიონო კოლექტივებში წარმომადგენლების არჩევნები. პირველი ორი საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა ნოე [illegible], რომელმაც აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე ისტორია, ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ევროპის მუშათა კლასის თანამედროვე მდგომარეობა და ბოლშევიკებთან ჩვენი დამოკიდებულება. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზედაც კრებამ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამის შემდეგ კრებამ მიიღო ამ. გერ. ნუცუბიძის მიერ შემოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: „დიდი ჯიხაიშის სოც. დემ. პარტიის წევრთა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, იწონებს ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აღუთქვამს რესპუბლიკას ყოველგვარ დახმარებას".

პარტიული სასამართლოს სახელით მოხსენება გააკეთა ამ. ლ. დარსაველიძემ. პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ა. ხიცავა და გვდ. კაპანაძე, რომელთაც ბრალდებოდათ პარტიულ დისციპლინის დარღვევა და შეუფერებელი გამოსვლა. სასამართლოს განაჩენით მათ გამოეცხადათ საყვედური და მიეცა გაფრთხილება, პარტიის წევრათ დატოვებული იქნენ. დანარჩენი კითხვები სიგვიანის გამო გადადებულ იქნა შემდეგი კრებისათვის.

ნოდე.

მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი

მიუხედავად იმისა, რომ ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის განუყოფელ ბინაში ლექციები თითქმის სისტემატიურად სწარმოებს, ხალხი მაინც ნაკლებად ესწრება. მსმენელთა რიცხვს შეადგენენ მხოლოდ ზოგი პარტიული წევრნი და ავლაბრის რაიონის სახალხო [illegible]. რაც შეეხება, მუშათა კლუბს,—ამ სახელს ვერ ამართლებს სინამდვილე. „მუშათა კლუბში" იგულისხმება ისეთი საზოგადო დემოკრატიული ოჯახი, სადაც მუშები მიიღებენ კულტურულ გასართობებს და სულიერ საზრდოს, ესე იგი: წარმოდგენები, ლექციები, მოხსენებები, კონცერტები, სინემატოგრაფი და სხვა.

ავლაბრის მუშათა კლუბის მოქმედება კი მიყენებულია ისეთი ვიწრო ფარგლებში, რომ ის უფრო წააგავს სახალხო თეატრს, სადაც კვირაში ორი წარმოდგენა იმართება ქართული და სომხური, თუ რომ არ მივიღებთ მხედველობაში დრო გამოშვებით საქველმოქმედო მიზნით გამართულ ამგვარ ოპერეტებს: „არშინ-მალ-ალან", „მეფე-ყვაობია" და სხვა ამნაირი. სეზონის დასაწყისში, კლუბის გამგეობამ მოიწვია ქართული-სომხური სექციებისთვის რეჟისორები: ბ-ნნი დ. ჩირკვიანი და ა. ხარაზიანი და მიანდო მათ კლუბის თეატრალური მხარე იმ მიზნით, რომ მათ შემოეკრიბათ ადგილობრივი სცენის მოყვარენი, თანამშრომელნი და დაეწყოთ მუშაობა. სამწუხაროდ, ამ მიზნის განხორციელება შესძლო სომხურ სექციის რეჟისორმა ბ-ნ ხარაზიანმა. ქართულ სექცია კი, დღესაც ვერ არის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებული, როგორც სჩანს, რეჟისორის უმოქმედობის გამო, რადგან მას ჩამოშორებია ადგილობრივი სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი მათი სამართლიან მოთხოვნილებათა გამო, რაც გამოიხატება თურმე რეჟისორის მიერ სათეატრო ელემენტარულ წესდების ასრულებაში. უნდა მივაქციოთ გამგეობის ყურადღება იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ქონდა ქართულ წარმოდგენებში. დადგმულ პიესებს სრულიად არ ეტყობა რეჟისორის ხელი. არ შემიძლიან გვერდი ავუხვიო იმ შეცდომას რეჟისორის მხრით, რომელიც დაშვებული იყო წარსულ კვირას, 8 თებერვალს დადგმულ სუმბათაშვილის „ღალატში". ბ. ჩირკვიანი თამაშობდა ორ როლს სულეიმან-ხანს და ირაკლის, მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ისინი ერთმანეთს ხვდებიან, სცენაზე ვხედავთ ბ. თარალაშვილს ერეკლეს როლში, რამაც დიდი დისონანსი შეიტანა, როგორც პიესის ჩატარებაში, ისე დამსწრე საზოგადოების იმ მომენტის სულიერ განწყობილებაში.

ვაქცევთ რა გამგეობის ყურადღებას ამ წერილში მოხსენებულზე, ვთხოვთ: 1) გადმოთარგმნილ იქნას კლუბის სამოქმედო პროგრამა, 2) შემდეგში აღარ ჰქონდეს ადგილი ზემოთ მოხსენებულ რეჟისორის მხრით დაშვებულ შეცდომებს.

ეპა.

თფ. მთავარი სახელოსნო. ვერ შეხვდებით ამ ძნელ დროს ისეთებს მუშებს შორის, რომ არ უჩიოდეს სიძვირეს. ზოგიერთი უპასუხისმგებლო მოწინავე პირებიც კი ხშირად ჩივიან სიძვირეზე, მიტინგებზე გამოდიან და ეფიცებიან სოციალიზმზე, ხოლო მიიღებენ თუ არა ჯამაგირს სამიკიტნოში გარბიან, რომ იქ ღვინით გაილეშონ. ეს იმდენით სამწუხარო არ იქნებოდა, რომ ამას თავისუფალ დროს ჩადიოდენ, მაგრამ ეს არის [illegible] დასანანი არ არის, როცა ამას ჩადიან მუშაობის დროს. ორმა მოწინავე პირმა,—ერთი ბოლშევიკი და მეორე მისი ფეხის ამყოლი მ. ყ. სამიკიტნოებში ქეიფობენ, როცა სახელოსნოში სამუშაო მარკები კიდია სადაც მათ ეწერებათ სამუშაო დღე ასეთი პირები ჩირქსა სცხებენ მუშათა კლასს; დროა ბოლო მოეღოს სამარცხვინო საქციელს და ყველა შეგნებულმა მუშებმა ასეთ პირებს პასუხი მოსთხოვონ ასეთი ბინძურ მოქმედებისთვის.

ამავე დროს არ შემიძლია არ მივაქციო იმათი ყურადღება ვისგანაც ეს ჯერ არის, რომ მუშებს ჯამაგირები ეძლეოდეთ დანიშნულ დროზე. მუშები მოლოდინში იყვნენ, რომ შაბათს ჯამაგირს მიიღებდნენ, ამიტომ ყველა დანიშნულ ადგილზე მიდიოდა და როცა გაიგეს, რომ ამ დღეს მათ ჯამაგირი არ მიეცემოდათ, ლანძღვა-გინებით მიდიოდენ და ამბობდენ: აბა, რა გული უნდა მქონდეს მუშაობაზეო. რადგან კვირას 15 თებერვალია ამის თვის არ გვიძლევენ ჯამაგირსო. ამან გამოიწვია ერთი დღის მოცდენა, რადგან შაბათს ყველანი იქ მიდიოდენ ცნობისთვის. მეორე დღეს, 16 თებერვალს ჯერ ჯამაგირის მიღებაზე დროს დაკარგვა და მერე საათობით წასვლა იმ ზემოთ მოხსენებულ პირებთან. მასთან უნდა მივაქციო სასტიკი ყურადღება ჯამაგირის მიღების დროს არ იქნეს ბევრი ხალხი რიგში ჩამდგარი, არამედ იქნეს მორიგეობით გამოძახებული, რომ რიგ-რიგობით მივიდეთ, ავიღოთ ჯამაგირი და არ უხდებოდეთ ორი საათობით იქ ცდა, როგორც დღემდე ხდებოდა.

იმედია ყველა ზემო თქმულს მიაქცევს ყურადღებას მთავარი სახელოსნოს გამგე და მით უმეტეს, მოწინავე მუშები, რომ მოსპონ ყოველნაირი ბოროტება და საქმისადმი დაუდევრობა.

ძირელი.

პროვინცია

გორი. 29 დეკემბერს შესდგა სამაზრო აგრონომიული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ერობის გამგეობის თავმჯდომარე მ. ახალაძე, შ. ჯავახიშვილი, აგრონომი გ. ოქროპირიძე და აგრონომ ინსტრუქტორები: გ. მირზაშვილი, გ. ბესტაშვილი, მ. გოგიბედაშვილი, ი. ორჯონიკიძე, მ. ქორქაძე და მეფარიშვილი. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო: 1) მოხსენება მაზრის აგრონომისა, საერთოდ აგრონ. განყოფ. მუშაობის შესახებ 1919 წ. 2) მოხსენება ინსტრუქ. აგრონომებისა, ადგილებიდან 1919 წ. მუშაობის შესახებ, 3) მომავალ წლის სამოქმედო გეგმა, 4) რომელი კულტ. მამულის დამუშავებაა სასარგებლო ერობისათვის, უკანასკნელის ხარჯით, 5) რომელი მამულები უნდა დარჩეს სამუდამოთ ფონდში და რა კულტურულ მიზნებისათვის, 6) მიმდინარე საკითხები.

თათბირის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა შაქრო ჯავახიშვილი, მდივნათ მ. გოგიბედაშვილი.

შაქრო ჯავახიშვილი თათბირს უთვალისწინებს წარსულ აგრ. განყოფ. მუშაობის ნაკლს და ურჩევს მომავალისათვის საერთო სამუშაო გეგმის შემუშავებას. შემდეგ ენერგიულად შესდგომოდენ საქმეს. გამ. ოქროპირიძე შეეხო აგრ. განყოფილების მუშაობას 1919 წ., მას მიუღებლად მიაჩნია, აგრ. ინსტრ. მიერ კულტურულ ჩამონაჭრების პატრონობა, რაც მთელს პრესტიჟს უკარგავს აგრ. განყოფ. ასეთი აზრი იყო გამოთქმული აგრეთვე ერობების აგრონომთა ყრილობაზედაც. აგრონომიულ განყოფილებას მოუწყვია მთავარი სარემონტო-სახელოსნო გორში, მოუწვევიათ, მანქანები, ზეინკალი, რომლებმაც მრავალი ახალი იარაღი აწყვეს და შეაკეთეს ძველი. აგრარულ რეფორმის გატარებაში იცავს აზრს—მიწის მთლიანი ნაჭრიანობის დაცვას, შეფასებაში კომისიებს დახმარებას აგრ. ინსტრუქ. უნდა უწევდენ, რადგან იგინი უფრო ახლოს სდგანან მამულთან და მის სარგებლიანობასთან. ხსნის აგრონომიულ პერსონალის შემადგენლობას და ამბობს, უნდა იყვეს მაზრის აგრონომი, რაიონის, რომლებიც მოწვეულნი უნდა იქნენ თუ [illegible], ინსტრ. და სხვა აგრონომიული პერსონალი უნდა იყრიბებოდეს ყოველ წლის სეზონის თავში ოთხჯერ, ითვალისწინებდეს წარსულ მუშაობას და ადგენდეს მომავალ სამუშაო გეგმას, აგრეთვე სდგებოდეს წლიწადში ერთხელ შემოდგომით მაზრის აგრონომიულ მოღვაწეთა თათბირი და აცნობს ამ უკანასკნელს აგრ. განყოფილ. თავის სამუშაო გეგმას.

მიხ. ქორქაძე—მანგლისის დახმარებით შეაკეთა თავის რაიონში მანქანა—იარაღები, მოაწყო თიბვა თივისა, დაუთესია რამდენიმე ადგილას სათესი მანქანით და გაუხსნია იარაღის საწყობი.

მომავალ სამუშაო გეგმას კითხულობს და ადგენს აქვე წერილობით. თათბირი გამოსთქვამს სურვილს იქონიოს აგრ. პერსონ. დღიური, სადაც აღნიშნული იქნება: ამინდი, თუ სად რას აკეთებს და სხვა, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ მუშაობას პერსონ.

მიხ. მეფარიშვილი—მიუღია რაიონში არსებულ ძველ საერთოთ ორგან. საწყობი, იარაღი, მხოლოდ არ ყოფილა დაცული ჩაბარებით წესები. აწყობდა საუბრებს, მაგრამ ხალხი არ უსმენდა მას—გულგრილად იღებდა მის დარიგებას. გუთნები ჰქონია რაიონ. გასაქირავებელი. 14 გუთანის ქირაში მოგროვილი ჰქონია 54 კოდი პური რამდენიმე სოფელი თხოულობს მაგ. ნაბახტევი და სხ. საკუთრებით შეიძინოს: სალეწი, სანიავებლის და სათიბისას. გორის რაიონისთვის საჭიროა გასაქირავებლათ 10 გუთანი „ტრაიერი", 3 სანიავებელი და 40 ფუთი შაბიამანი. გასაყიდი გუთნები 100 მდე საჭიროა. მომავალ წლის სამუშაო გეგმას ადგენს წერილობით აქვე.

გ. მირზაშვილი მოახსენებს კრებას ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი დასჭირდება რაიონს შაბიამანი და პარიზის ფხვნილი. მანქანები შეაკეთებინა, სასხურებელი აპარატის რაოდენობას არკვევს რაიონში. რაიონს გაეცნობა და იმის მიხედვით შეუდგენია მომავალი წლის სამუშაო გეგმა, რომელსაც ადგენს წერილობით აქვე.

გ. ბესტაშვილი. გაეცნობია ადგილობრივ ადმინისტრაციას და რაიონ. ახლოსდა სოფლებთან ბაასს მეურნეობის ყველა დარგზე: განზრახული ქონია ხაშურის თემს არხის გამოყვანა ქვემოთავიდან დიდთუღლის მინდვრამდის. განზრახული აქვს აგრეთვე თემთან შეთანხმებით სანიმუშო ხნა თესვის და ბოსტნის მინდვრის მოწყობა. წერილობით მოხსენებას ადგენს მომავალ წლის სამუშაო გეგმას შესახებ.

ი. ორჯონიკიძე გაეცნობა რაიონს, სანიმუშოდ მოუწყობია კასპში საფონდო ვენახი, ყურადღება მიუქცევია უფრო სოფლის კულტურულ მამულისათვის. ერობის გუთნები, ასევე 8 [illegible] ორს ქონია რაიონში. საჭიროა ქვემო-ქალის რაიონისათვის გამოიწეროს 300 ფუთი შაბიამანი. მომავალ წლის სამუშაო გეგმას წერილობით ადგენს აქვე.

მ. გოგიბედაშვილი — კულტურულ ბაღ ვენახების მოვლას, ცხინვალში მდგომ ჯარისკაცების გზით გავლის დროს მამულს ზიანი მოუვიდა. მიუღია ძველი საერთო ორგანიზაციისაგან სამეურნეო იარაღი და შეუკრებია ისეთების მიერ გატაცებული გუთნები, გაუნაწილებია სამ თემთა შორის, მათ გამგეობისათვის ჩაუბარებია და ამით ხან ადგილას მოუწყვია პუნქტები. შეუკეთებინებია ზოგიერთი მანქანა-იარაღები. მიუწვდია საწამლავი მასალა რაიონისთვის და სხვა. უჩივნია რაიონს გორით, გადასულა ბოლოს დროს ახალქალაქის რაიონში. მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ და აგრეთვე მომავლის წლის სამუშაო გეგმა წარმოადგინა წერილობით ამასთანავე წარმოადგენილია მის მიერ განზრახული რაიონში საჩვენებელ მინდვრების: ხვნა-თესვის, ხეხილის სანერგის და ბოსტნის თესლეულობის გამოყვანის შესახებ. ხარჯთ აღრიცხვები (პროექტები), აგრეთვე სამეურნეო მანქანა, იარაღების პუნქტების ხარჯთ აღრიცხვა.

მ. ახალაძე წარსულ წელს არ ჰქონია აგრონომიულ პერსონალს გარკვეული გამომუშავებული სამუშაო გეგმა და ისე იქცეოდნენ ყველა აგრ. ინსტრ. როგორც მოეხერხებოდათ მომავლისათვის კი უნდა შემუშავდეს პროგრამა და იმის მიხედვით ვიმუშაოთ. საჭიროა შემოღებულ იქნეს უბის კალენდრები, დღიური, სადაც უნდა იწერებოდეს ის თუ ვინ სად, რას აკეთებს, ამინდი და სხვა. აგრონომ. ინსტრუქ. მათზე კულტურ. ნაჭრების მოხვევით, მოურავებათ იქცენ და ამით მათ ხალხში ნდობა დაეკარგათ. საჭიროა აგრონ. ინსტრ. მიუთითონ ერობას, სად რამდენი ნაჭერი დარჩეს საფონდოთ მამულებიდან კულტურულ მიზნებისათვის და ამის შესახებ მოხსენებები ხარჯთ-აღრიცხვით წარმოადგინონ. აგრონ. ინსტრ. უნდა მუშაობდნენ ადგილობრივ თემებთან შეთანხმებით, იგინი უნდა მოიხმარონ და ჩაებან მეურნეობის აღორძინების საქმეში. სამაზრო ერობა შევიდა წევრად „ქართველი მეხილეთა ამხანაგობაში", რომელიც დღეის შემდეგ თქვენი ნაწარმოებები შეიძლება ამხანაგობის საშუალებით გასაღებოთ. გამოარკვიონ აგრ. ინსტრუქ. თუ სად, რომელ რაიონში, რა ტიპის სამეურნეო სასწავლებელია საჭირო. ურჩევს თათბირს ყოველ დარგში სათითაოდ შემუშავებულ იქმნეს გეგმა მუშაობისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა მიენდოს სამ პირისაგან ამორჩეულ კომისიას, რომელიც შეიმუშავებს მთელი მაზრისათვის მომავალ წლის სამუშაო გეგმას და იხელმძღვანელებს ყველა აქ წარმოდგენილი მასალებით: აგრ. ინსტ. წერილობით მოხსენებები ამისათვის თათბირი ირჩევს კომისიას სამი კაცისაგან: გ. ოქროპირიძეს, გ. მირზაშვილს და მ. გოგიბედაშვილს.

1) აგრ ინსტრუქ. აცხადებენ, რომ მათ ზოგი ერთებს ყავთ ცხენები და ზოგი ერთებს კი არა, რაც ძლიან აფერხებს მათს მუშაობას. აგრეთვე ვისაც ცხენები ყავთ მათ ფურაჟი არა აქვთ და შეიძლება აღარა აქვთ ნათხოვარი უნაგირებით იარონ. თათბირი ადგენს: გაღებულ იქმნას შესაფერი ხარჯები და იხელმძღვანელონ ერობის გამგეობის მიერ მიღებულ დადგენილებით.

2) აგრონ. ინსტრ. თხოულობენ გატარებულ იყოს ცხოვრებაში, ის დადგენილება, (წარსული პირველი აგრ. თათბირისა), რომლის ძალით აგრ. ინსტრ. უნდა ეძლეოდეთ, ნივთიერ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ორი დესეტინის დამუშავება თავის ხარჯით. ოჯახის საჭიროებისათვის საფონდო მამულიდან, სადაც კი ეს შესაძლებელია.

3) აგრ. ინსტრ. მოითხოვენ იმართებოდეს პერიოდულად ლექციები სხვადასხვა სამეურნეო დარგებში ინსტრუქტორებისათვის, რისთვისაც მოწვეულნი უნდა იყვნენ გამოცდილი სპეციალისტი ლექტორები.

X.

წერ. რედაქციის მიმართ

ერთ კვირაზე მეტია რაც დაპატიმრებული ვარ. ბრალს მდებენ თითქოს კომუნისტების ორგანიზაციაში ვმუშაობდე საქართველოს წინააღმდეგ. საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ არას დროს არ მიმუშავია და არც მომავალში ვფიქრობ კომუნისტების ორგანიზაციაში მუშაობას.

მიხეილ დორეული.

18 თებერვალი
1920.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ შეძლება მოგვცეთ ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოაღნიშნულ პირთ, რომელთაც სოფ. სხვავის უფასო სამკითხველოს შემოსწირეს: 1) ილიკო ნეფარიძემ 50 მან., 2) ბესო ჩიჩინაძემ 10 მან., 3) სილო პეტრიაშვილმა 10 მან., 4) სამუელ პეტრიაშვილმა (ნესტორ და ვასილ ივანეს ძე პეტრიაშვილების ხსოვნის აღსანიშნავათ) 100 მან., 5) კონია პეტრიაშვილმა 100 მან, 6) ვასილ საგანელიძემ 5 მან, 7) სილო ნეფარიძემ 100 მან., 8) ბათლომე რაჭველიშვილმა ალ. ყაზბეგის სრული თხზულება, 9) არსენ ნიფარიძემ ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი" და გ. ნინოშვილის „[illegible]".

სხვავის უფასო სამკითხველოს გამგეობის წევრი ქ. პეტრიაშვილი.

ნება მიბოძეთ „ერთობის" საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ეგ. ნინოშვილის სახელობის ჭყონაგვერის (გურია) უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს შემოსწირეს ფულად: 1) იპოლიტე ცორცოლიანმა 2 200 მან., 2) ალ. წულაძემ 500 მან., 3) შ. საზონაძემ 200 მან., დიდი მადლობა ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორს ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს, რომელმაც დაგვეთმო უსასყიდლოთ რამდენიმე წლის ჟურნალის კომპლექტი.

გამგეობის თავმჯდომარე ხტ. ნიკოლაიშვილი.

განცხადებანი

ექიმი დ. ი. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლო.

ცეკვის სასწავლებელი
ი. ა. როზენბერგისა.
არსებობს 27 წელიწადი ასწავლის სპეციალურად: აზიურს, საბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (527-5-2)

ექიმი
ა. ა. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლევენშტაინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების: [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. მ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ოზურგეთელი
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წლების, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცილით", ვენერიულ: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
ქ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილისით 1—3 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ს. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და [illegible] განყოფილების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 32

საჭიროა
კანტორშჩიკი
ქართულისა და რუსული ენების (წერა კითხვის) მცოდნე. მიეცემა ბინა და სასმელ-საჭმელი, სასურველია მარტოხელი. მსურველს შეუძლია მიმართოს სასტუმრო „ნოეს" კანტორაში. ყოველ დღე დილის 9—10 საათ. და საღამოს 6—7 საათ.
(580—2—2)